# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 16 ივლისი 2004 №162 (2183) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამომ ბატე და 0:2 ამოაყირავა

თბილისის „დინამო“ ევროტურნირებზე 1972 წლიდან თამაშობს და გუშინდლამდე არ მომხდარა, რომ ორი ბურთი ამოექაჩა და მოეგო — ეს გია გეგუჩაძის ხელში მოახერხა „დინამომ“ ბორისოვში და ბატესთან 3:2 ამითაცაა კიდევ უფრო გემრიელი. გეგუჩაძე რისკიანი მწვრთნელია და შეტევა უყვარს, რაც ბოლო წლებში „დინამოს“ ძალიან აკლდა. გულს აკლდა ბატესთან რევანშიც და „დინამო“ ბელარუსიდან, სადაც სამი წლის წინ 0:4 დამარცხდა, დღეს უკვე გამარჯვებული ბრუნდება თბილისში.

## გეგუჩაძემ პუნქტუსს სიურპრიზიც გაუკეთა და ფოკუსიც





„თბილისის“ პირველი ევროგოლი გიორგი ჭელიძისა იყო

# თბილისი 1:0 შამქირი

# შამქირი ქაბაბი არ არის

გიორგი ჭელიძის კინკილათი მოიგო გიორგი დევდარიანის გაწვრთნილმა „თბილისმა“, თუმცა ვაკეში ძალიან წუნიანი ბურთაობა იყო და აზერბაიჯანში „შამქირთან“ შებმა ქაბაბის ჭამა ნამდვილად არ იქნება.

*მაგრამ ის კი, რომ სამივე ქართულმა გუნდმა ევროსეზონი გამარჯვებით დაიწყო და ვინძლო ამ სამიდან რომელიმემ მაინც გაიტანოს თავი ევროპაში შემოდგომამდე.*

## უეფას თასი 2004-2005

UEFA CUP | საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები UEFA CUP

ბორისოვო. 15 ივლისი. 19.30 საათი. ცენტრალური. 5 000 (ტევადობა 5 000)

### ბატე 2:3 დინამო

1:0 ჟავნოვი (15), 2:0 სტრახანოვიჩი (19პ), 2:1 კაკალაძე (45), 2:2 გონჩაროვი (55), 2:3 რომერო (90)

| | |
|---|---|
| ბატე: ჟავნოვი, მარდასი, ბაგა, მოლოში, ტარასენკო, კობეცი (აფანასიევი 46), სკრიპჩენკო (შოროხი 46, რუბნენკო 83), ლოშანკოვი, სტრახანოვიჩი, ლიხტაროვიჩი, რინდიუკი<br>*სათადარიგონი:* ფედოროვიჩი; იარმაკოვიჩი, შეგრიკოვიჩი, იაკუბოვსკი<br>მწვრთნელი: იური პუნტუსი | დინამო: ზოიძე, შაშიაშვილი, ჭიჭვეიშვილი, ლ. სალუქვაძე, კვირკველია, კანკავა (კაშია 86), კანდელაკი, ბურდული (ახალაია 46), მელქაძე (რომერო 74), კაკალაძე, გონჩაროვი<br>*სათადარიგონი:* მამალაძე; სილაგაძე, ალადაშვილი, გრიგალაშვილი<br>მწვრთნელი: გია გეგუჩაძე |

გაფრთხილება: კობეცი (45), ლოშანკოვი (62), რომერო (78), კვირკველია (81), ჭიჭვეიშვილი (87)

მსაჯები: ს. კალდმა; დ. ვინოგრადოვი, ე. როზოვი; მ. კოტერი (ყველა ესტონეთი)



ქობა ინასარიძე

ბორისოვოდან

# გეგუჩაძის სიურპრიზი: 3F

**ერთი კვირაა,** ბატე 15 ივლისის წვიმაზე ოცნებობდა. სამი წლის წინ თბილისური მატჩის ბოლოსკენ რომ არ გაწვიმებულიყო, „დინამოს" ერთ საპასუხო გოლს ან გავუტანდით, ან არაო, გვითხრა გუშინწინ ბატეს პრეზიდენტმა და ბორისოვოს ავტოსატრაქტორო ელექტრომოწყობილობების ქარხნის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა და ბელარუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოს ახლო მეგობარმა ანატოლი კაპსკიმ და იქვე დააყოლა, ხვალაც თუ იწვიმებს, დარწმუნებული ვარ, მოვიგებთო.

ეს სტრიქონები მატჩის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე იწერება. რა მატჩი იქნება, ბუნებრივია, ვერ გეუბნებით, თუმც ბორისოვოს სტადიონის ორ ტრიბუნასა და პრესის ლოჟას გადაულებლივ რომ აწვიმს, ფაქტია. ტრიბუნები ახლა, ამ წუთებში ივსება და ვერც იმას გეტყვით, სტადიონი შეივსება თუ არა. ყოველ შემთხვევაში, აქაური „ჯუნგლები" უკვე ახმაურდა და სექტორებს შორის ხალხის ნაკადიც არ წყდება.

და რაკი ახლა, ასე ვთქვათ, ონლაინ-რეჟიმში მიხდება წერა, აქვე კლუბების პრეზიდენტების მოკლე კომენტარებსაც შემოგთავაზებთ. დავით პეტრიაშვილმა და მისმა მასპინძელმა კოლეგამ ეს წუთია პრესლოჟას ჩაუარეს და...

*დავით პეტრიაშვილი:* აი, ეს ნალი დღეს საკუთარი ხელით გამოვჭედე და, რა თქმა უნდა, წარმატების იმედი მაქვს. ურტყი ნალს ურო, რამდენიც გინდა.

*ანატოლი კაპსკი:* კარგია, რომ წვიმს. ახლა ნებისმიერ შეცდომას მეტი ფასი აქვს, იმედია, ჩვენები ნაკლებად შეცდებიან.

და კიდევ, ვიდრე მატჩი დაწყებულა. „დინამოს" სასტარტო შემადგენლობაში არ არის ლადო ახალაია, რატომ, ჯერ არ ვიცით, გუნდები უკვე მოედანზე არიან...

პირველი დარტყმა პირველსავე წუთზე, თანაც სველ გაზონზე, ჩვენებისაა. ლევან მელქაძემ საჯარიმოს მისადგომებიდან ჟავნოვს კუთხეში დაურტყა, მეკარემ გაჭირვებით მოიგერია. და აქვე ტრიბუნები დადუმდა: ისევ ლევან მელქაძის დარტყმული ბურთი მცველმა აისხლიტა, ხარიხას მოხვდა და კუთხურზე გადავარდა.

გეგუჩაძე ნაცად 4-3-3 არც ამჯერად ღალატობს. ცენტრალურ თავდამსხმელ გონჩაროვს ფლანგებიდან, მარცხნიდან მელქაძე, მარჯვნიდან კი კაკალაძე ეხმარებიან. შუაში საყრდენები კანკავა და კანდელაკი არიან, გამთამაშებელი — ბურდული. დაცვას, მარცხნიდან მარჯვნივ, კვირკველია, ჭიჭვეიშვილი, სალუქვაძე და შაშიაშვილი ამაგრებენ.

მე-14 წუთზე მელქაძემ ერთხელაც, ამჯერად საჯარიმო დაარტყა და... კურიოზი! მეკარე ჟავნოვის საპასუხო, მოედნისკენ დარტყმული ბურთი საჯარიმოსთან დაეცა, მოედნიდან უხერხულად ასხლტა, ზოიძეს გადააფრინდა და 1:0. ხალხი გაოცებულია... და პენალტი. მარჯვნიდან „დინამოს" საჯარიმოში შეჭრილ ბაგას ჭიჭვეიშვილმა ფეხი გამოსდო, მსაჯი შეყოვნდა და როცა ბურთი ზოიძემ იხელთა, პენალტი მაშინ დანიშნა. სტრახანოვიჩის მარცხენა კუთხეში დარტყმული უნაკლო გამოდგა — 2:0. ორი გოლი თითქმის არაფრისგან.

25-ე წუთია, „დინამომ" თავისი თამაში დაკარგა და ბელარუსებიც სახიფათოდ უტევენ თბილისელთა კარს.

ახლა ბატეს კართან, თითქმის საჯარიმოს ხაზთან, ჯარიმაა. ბურდული, კაკალაძე და კვირკველია არიან ბურთთან... ვარჯიშზე დამუშავებული კომბინაციით დინამოელებმა ვერ იხეირეს. ბურთი ჟავნოვს აქვს, ტრიბუნები კი მას პირდაპირ კარში დარტყმას სთხოვენ...

ათი წუთიც მიილია, „დინამომ" თითქოს თამაში გაათანაბრა, მაგრამ ბურთით, რომლითაც ევროპის ჩემპიონატზე თამაშობდნენ, ჩვენებს ბევრიც არაფერი გამოსდით. თანაც სველ მოედანზე ბურთი ბუშტივით უმისამართოდ დაფრინავს. ბოლო ხანს ბატე თურმე სწორედ „როტეიროთი" თამაშობს. აქვე ლოშენკოვმა და კაკალაძემ გაცვალეს სახიფათო მომენტები. თამაშის შემხედვარეს ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, „დინამომ" ერთი გოლი მაინც უნდა გაიტანოს. ეს ერთი გოლი კი, ვინ იცის, 29 ივლისის საპასუხო მატჩისას ჩვენებს როგორ გამოადგეთ.

მელქაძემ და კაკალაძემ ფლანგები გაცვალეს, შეტევებს კი დინამოელები მეტწილად გონჩაროვზე აწყობენ. ჯერჯერობით ბელარუსი მცველები ყოჩაღობენ, რა იქნება მერე? „დინამოს" შეტევებს სიზუსტე აკლია, მათი იერიშები პენალტის ნიშნულთან იშლება...



გია გეგუჩაძემ ბელარუს კოლეგას შეპირებული სიურპრიზი აუხდინა

კაკალაძემ ორი მცველი ჩამოიშორა და მეკარის ცხვირწინ დარჩა, ჟავნოვმა სასწაულებრივად მოიგერია, ბურთი მაჯით უკუაგდო, მერე კი მეკარეს მცველები წაეშველნენ.

და აჰა... გონჩაროვზე აწყობილმა თამაშმა გაამართლა. მან ბურთი მკერდით კაკალაძეს დაუგდო, მცველები შეცდნენ და კაკალაძემ ტაიმის ბოლო წუთზე გაიტანა. ბურთი ცენტრში დაიდო და მსაჯმაც ფეხბურთელებს დასასვენებლად უხმო.

მეორე ტაიმისთვის ჩვენებს კარგი სტიმული აქვთ.

მეორე ნახევარიც „დინამოს" მძლავრი შეტევებით დაიწყო. შეიძლება ითქვას, ცალკარა თამაშია. მე-5 წუთი მიილია და ზოიძეს ჯერ ბურთი არ მიუღია. აგერ, კვირკველიას ჯარიმა, მეკარემ ბურთი ცხრიანიდან ჩამოხსნა... კანდელაკის დარტყმული კარს ასცდა და... გონჩაროვი — 2:2. ახალაიას ჩინებული პასი, გონჩაროვი ფლანგიდან პირისპირ დარჩა მეკარესთან და გარე ტერფით ბურთი მოჭრა — შორეულ კუთხეში გაიტანა.

შესვენებაზე შეცვლილი ლადო ბურდული ჩვენთან ამოვიდა და აი, მისი ექსპრეს-კომენტარი: „ბურთი ნორმალურია. გოლებს ბურთებს ნუ დავაბრალებთ, ღმერთმა, ეტყობა, ასე ინება. ბატე ის გუნდი აღარაა, რაც სამი წლის წინ იყო, პირველივე ტაიმში უნდა მოგვემთავრებინა საქმე".

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ ბატე-მ ტემპს უმატა, თუმც თბილისელები პირველ ტაიმთან შედარებით უფრო თავდაჯერებულები ჩანან და შეტევებსაც იოლად იგერიებენ.

71-ე წუთია, ბურთი მოედნის შუაშია, არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. გეგუჩაძე შეცვლას აპირებს, მისმა თანაშემწე დავით ჯანელიძემ ბატეს კარსუკნიდან რომეროს უხმო, ალბათ, მელქაძეს მოხსნის, შუა ხაზს გააძლიერებს. ჯერჯერობით კი ბატე უტევს სახიფათოდ, მაგრამ ახალაიამ ჩაშალა შეტევა და ბურთიანად თავად დაიძრა მეტოქის კარისკენ. არაფერი გამოვიდა. დინამოელები ბატეს საჯარიმოსთან დაჯარიმდნენ.

დიახ, ასეცაა, 74-ე წუთზე მელქაძე რომერომ შეცვალა. და კიდევ გოლი. ახალაიას პასი და გონჩაროვმა მეკარეს გადაუგდო ბურთი. თანამსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. და აქვე აფანასიევმა ძალიან რეალური მომენტი გააცუდა, ის შეუჩერებლად ურტყამდა ახლოდან, მაგრამ კარს ააცილა. რომერომ, როგორც ვივარაუდეთ, შუა ხაზი გააძლიერა და უკვე ყვითელი ბარათიც მიიღო მეტოქის შეტევის უხეშად ჩაშლისთვის. ბელარუსთათვის, ეტყობა, ფეირ პლეის პრინციპები უცნობია. ახალაია მოედნის ცენტრში წააქციეს, აშკარაა, ლადოს მუხლი ძალიან ეტკინა, მაგრამ არც ბატემ და არც მსაჯმა მატჩი არ შეაჩერეს. მეტოქემ სულაც საპასუხო შეტევა წამოიწყო. ამის შემხედვარე მასპინძელთა ქომაგებიც კი აღშფოთდნენ და თავიანთ გუნდს ერთი-ორი „ტკბილი" სიტყვაც მიაძახეს...

რომერო, გონჩაროვი, კაკალაძე და ახალაია ბატეს ორ მცველთან დარჩნენ. ბურთი ბრაზილიელ ლეგიონერს ჰქონდა, მაგრამ [illegible] პასი არ გამოუვიდა, მიუხედავად ამისა, ბურთი გონჩაროვმა მოიპოვა, კარიდან დაახლოებით ხუთ-ექვს მეტრში გაისწორა, დაარტყა, მაგრამ უზუსტოდ...

89-ე წუთი. მარცხენა ფლანგიდან კვირკველია ჯარიმას აწვდის, მსაჯმა გაამეორებინა, უსასტვენოდ ნუ ურტყამო. ჩემ გვერდით „დინამოს" განაცხადში ვერმოხვედრილი ხმალაძე ზის. კარგია, „კვირკვეს" „პადაჩა" რომ არ გამოუვიდა, ახლა უკეთ ჩააწვდისო. მეორე ცდაზე კვირკველიამ ბურთი მოედანზე გააცურა. კაკალაძემ ბურთი ფეხებშუა გაატარა, მცველმა კარის ხაზიდან გაჭირვებით გამოიტანა, მაგრამ რომერო იქვე აღმოჩნდა და 2:3.

ვიდრე ამას ვწერდი, მატჩიც დამთავრდა. ახლა ვერ ვიხსენებ, მგონი, ქართული ფეხბურთისთვის ეს უპრეცედენტო მოვლენაა: „დინამო" 0:2 აგებდა, მატჩი კი საბოლოოდ ჩვენების გამარჯვებით მორჩა...

— ჩვენ თბილისის „დინამოს" ყოველთვის პატივს ვცემდით. დღეს დავრწმუნდით, რომ ქართულ ფეხბურთს დიდი მომავალი აქვს, ძალიან გვსურს, მალე ძველი „დინამო" ვნახოთ. დიდი მადლობა თბილისელებს ლამაზი თამაშისთვის — ესტონელი არბიტრის საფინალო სასტვენი და ბატეს პრეზიდენტის ანატოლი კაპსკის ეს სიტყვები ერთი იყო.

...და დავით პეტრიაშვილის გამოჭედილი ნალი? ურტყი, რამდენიც გინდა, არ გატყდება. სცადა ბატემ „დინამოსთვის" დარტყმა, მაგრამ თამაშითაც და ანგარიშითაც კარგად გამოჩნდა, რა მოიგო...

## პრესკონფერენცია

**გია გეგუჩაძე:** შედეგი ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა, მოგება, რა თქმა უნდა, კარგია, თუმცა წინ მეორე მატჩია. ბატე კარგი გუნდია და ამას კომპლიმენტად არ ვამბობ.

ჩვენი ამოცანა იყო, მეტოქისთვის აგრესიული თამაში დაგვეპირისპირებინა, ვიცოდი, ბატე შემტევ ფეხბურთს ითამაშებდა და აქცენტს შეტევაზე გააკეთებდა. მათი იერიშებისთვის მხოლოდ აგრესიული თამაშის დაპირისპირება შეიძლებოდა.

**იური პუნტუსი:** „დინამოს" ვულოცავ დამსახურებულ მოგებას. თამაშის შეფასება მიჭირს და ვერც იმას ვაანალიზებ, თუ რა მოხდა. ვერ ვიხსენებ, როდესმე ბატეს 2:0 წაეყვანოს და შემდეგ წაეგოს. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გაშვებულმა გოლმა გაგვტეხა, არადა, ბიჭებს ვუთხარი, რომ ერთი გოლი კატასტროფა არ იყო. მიუხედავად ამისა, ისინი ძალიან დაიბნენ და საკუთარი თამაში დაკარგეს.

*„სარბიელის"* კითხვა იური პუნტუსს:

— ელოდით, რომ „დინამო" სამი თავდამსხმელით ითამაშებდა?

პუნტუსმა შუბლზე ხელი მოისვა, დიდხანს იფიქრა, თითქოს კიდევ არ სჯეროდა, რომ „დინამომ" სამი ფორვარდით ითამაშა და ბოლოს გვიპასუხა — არა, ეს ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო.

თბილისი. 15 ივლისი. 19 საათი. ლოკომოტივი. 7 000 (ტევადობა 25 600)

## თბილისი 1:0 შამქირი

| | |
|---|---|
| 1:0 ჭელიძე (32) | |
| *მიქაძემ ვერ გაიტანა პენალტი (75, მეკარე)* | |
| თბილისი: დევაძე, ლოლაძე, ორბელაძე, ქემოკლიძე, დ. ოდიკაძე (შ. ჯიქია 66), გოგუა, გ. ჭელიძე, აფციაური, გეწაძე (ელიავა 69), ხოჯავა (ფიფია 59), მიქაძე *სათადარიგონი:* შეყრილაძე; მესხი, მიკუჩაძე, გ. მოდებაძე მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი | შამქირი: იუსიფოვი, ვალიევი, ჯაბაროვი, მამადოვი, ჭინჭარაული, აჰმადოვი, მარდანოვი, პ. ალიევი (ესონგი 90), ჰასანოვი (კულიკოვი 65), ჰუსეინოვი, ასადოვი (მადატოვი 81) *სათადარიგონი:* ტაჰიროვი; ბართია, ამირასლანოვი, პარვაროვი მწვრთნელი: გაჰრამან ალიევი |
| გაფრთხილება: ამადოვი (8), ჯაბაროვი (29), ლოლაძე (41), იუსიფოვი (90) | |
| მსაჯები: ა. ჩიკუნი; ს. ჟუკი, ვ. კალინუსკი; ი. კუნცევიჩი (ყველა ბელარუსი) | |

# ჭელიძემ ჭედა და გამოჭედა: გლუვი ანგარიში და იმედი

„თბილისი“ არ გამოირჩევა განაპირა მცველების შეტევაში ჩართვით. ზაალ ელიავა, ვისაც კარგად ეხერხება ფლანგური შეტევები, დევდარიანმა გუშინ სულაც შეცვლაზე ათამაშა. სამაგიეროდ, საპირისპირო, მარჯვენა ფლანგზე გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე გაამწესა გარემარბად და ამან გაამართლა.

ხოჯავა-გეწაძე-ოდიკაძე — პირველი სახიფათო კომბინაცია ამათ გაითამაშეს, მაგრამ უხერხული სიტუაციიდან დავით ოდიკაძემ ვე შეაგდო. ცოტაც და, გოჩა ხოჯავამ 16-17 მეტრიდან სცადა ბედი, მაგრამ მიხეილ იუსიფოვმა ხელებში გააქვავა ბურთი.

აზერბაჯაინელთა ჯერიც დადგა — ხალიგ მარდანოვმა კარგად გაუჭრა პასი „შამქირის“ ეულ ფორვარდ ფაშა ალიევს, ვინც თბილისელ მცველებს ზურგსუკან კარგად კი დაუსხლტა, მაგრამ აკაკი დევაძის კარს ვერ დაუმიზნა.

„თბილისი“ თავის თამაშს თამაშობდა, მაგრამ ეს არცთუ კარგად გამოსდიოდა, ბურთს სწრაფად ვერ ათამაშებდა და სივრცეებს ვერ იქმნიდა, ტექნიკური წუნიც უხვად იყო და არასწორი გადაადგილებებიც. ჰოდა, გოლიც არ გაღიოდა.

მაგრამ „თბილისმა“ კარგად გამოიჭირა მეტოქე უხეშ შეცდომაზე — იუსიფოვმა თანაგუნდელის მიერ დაგორებული ბურთი კი არ მოიშორა, ახლოში მდგომ მცველს პირდაპირ ფეხებში დაახალა, მანაც ბურთი დაკარგა, ჭელიძე კი ჩიტივით შეფრინდა მარჯვნიდან მეტოქის საჯარიმოში, სლალომით ჩამოიცილა მეტოქე და მახვილი კუთხიდან შეაგდო.

ჩვეულად ვერ გამოირჩეოდა ხოჯავა, მაგრამ მისი ერთი პასი ერთ რამედ ღირდა — ოდიკაძე იუსიფოვს შეატოვა, მაგრამ თბილისელმა მიზანი ვერ გაასწორა.

მეორე ტაიმში „შამქირი“ ოდნავ უფრო გაბედულად ათამაშდა და თამაშიც უფრო გამოცოცხლდა. ალიევი ორჯერ დაემუქრა მასპინძელთა კარს — ძლიერ, დაბალ ჩაწოდებულზე ახლოდან უნდა გაეტანა, მაგრამ გიორგი ლოლაძე ჩაუხტა ფეხებში, შემდეგ აზერბაიჯანელთა შემტევმა თავური გააცუდა.

უკეთესი შანსი ვერ გმოიყენა სერგო ორბელაძემ — ნაკუთხურალი ბურთი ცაციათი უნდა გაეტანა, მაგრამ მაინცდამაინც მეკარეს დაუმიზნა.

ჭელიძემ ერთხელაც ივარგა მარჯვენა ფლანგზე. მოხდენილად დაუგორა ბურთი გოგა ფიფიას, ვინც



გოგა ფიფია ბურთს საგოლედ ვერ მისწვდა

ძალაზე კი არა, სიზუსტეზე დაარტყა, რაც მეკარისთვის უფრო იოლად ასაღები გამოდგა. ეს 72-ე წუთზე მოხდა, მაშინ, როცა „თბილისი“ არითმიულად აწვებოდა „შამქირის“ დაცვით ეშელონებს. დროის ამ მონაკვეთში „თბილისს“ კვლავ უნდა გაეტანა — ელიავამ გიორგი მიქაძეს გაუჭრა პასი, ბურთს თითქოს მალხაზ ჭინჭარაული ეწეოდა, მაგრამ მიქაძემ ვარდნაში დაასწრო შამქირელთა ქართველ მცველს და ხარიხა შეატორტმანა.

11-მეტრიანიც ჭელიძემ მოინაგრა — ერთ-ერთმა შამქირელმა ნებით თუ უნებლიეთ ხელით შეაჩერა ბურთი, რომელიც ჭელიძეს სტუმართა საჯარიმოში შეეტანა. პენალტის დარტყმა მიქაძემ იკისრა, მაგრამ მისი არცთუ ძლიერი და არცთუ კუთხეში დარტყმული იუსიფოვმა მოიგერია.

„შამქირმა“ ძალიან მწვავე კონტრშეტევა განახორციელა — მარცხენა ფლანგიდან ვუსალ ჰუსეინოვმა ჩაირბინა თბილისელთა საჯარიმოში, დევაძემ ახლო მახვილი კუთხიდან გატყორცნილი უკუაგდო, ჰუსეინოვმა დამატებაზე როვშან აჰმადოვს უპასა, ვინც 15-16 მეტრიდან ღონივრად კი მოიქნია ფეხი, მაგრამ ბურთი კარს ვერ დაუმიზნა.

მატჩის მიწურულს „თბილისი“ მეტი მონდომებით ეძგერა „შამქირს“, გააქტიურდა თორნიკე აფციაური. ამასობაში სტადიონზე მისულმა გულშემატკივარმა „დინამოსგან“ ბორისოვოში ორი გოლის ამოქაჩვის ამბავი შეიტყო და რამდენიმეწამიანი „დინამო“, „დინამო“ დასცხო. თბილისელთაგან კი ფიფიას და გოგიტა გოგუას მართებდათ ბურთების დამიზნება „შამქირის“ კარისკენ, თუმც „თბილისის“ გლუვ მოგებას მხოლოდ უიღბლობას ვერ დავაბრალებთ — თბილისელთა თამაშს რამდენიმე მწიკვი მარილიც აკლდა.



მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი გიორგი ჭელიძე აზერბაიჯანელებს ჰაერშიც ებრძოდა

დავით თავართქილაძე

1:0 **ძალიან გლუვი** ანგარიშია — შეიძლება, ადვილად დაცურდე საპასუხო მატჩში, მაგრამ „თბილისს“ გუშინდელზე მეტი შეუძლია და არც „შამქირი“ ჩანს ისეთად, სტუმრადაც რომ ვერ მოუგო.

გასულ სეზონში ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში საკამათო ბევრი იყო, მაგრამ ერთ საკითხზე საერთო აზრი სჭვიოდა — „თბილისს“ კარგი ცენტრფორვარდი აკლია.

გუშინ გიორგი დევდარიანმა ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაში გადაწყვიტა. ზოგადად, ფორვარდების რაოდენობას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ რაოდენობა ხშირად ტენდენციას ქმნის — აზერბაიჯანულ „შამქირს“ თბილისელები შინ ერთი თავდამსხმელით ეთამაშებიან.

შეკრების შემდეგ პირველი მატჩები ყოველთვის ჭირს და „თბილისიც“ ვერ მოძრაობდა ისე, როგორც ამას წინა სეზონის საუკეთესო მატჩებში ახერხებდა. ისიცაა, რომ „თბილისი“ თბილისის გარეთ არ გასულა, ჰავა და გარემო არ გამოუცვლია, თუმც გუნდის თავკაცის, გიორგი დევდარიანის თქმით, მისი ფეხბურთელები უწინდელზე უკეთესი ფიზიკური კონდიციებით შეხვდებიან ახალ სეზონს.

როგორც უნდა იყოს, „თბილისმა“ გუშინ „შამქირზე“ უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა და მოიგო. საგოლე მომენტების ვერგამოყენება კი, უბრალოდ, გუნდის ერთ-ერთი ნაკლია.



მიხეილ იუსიფოვის მოხელთებული გიორგი მიქაძის პენალტი

## პრესკონფერენცია

**გაჰრამან ალიევი,** „შამქირის“ მწვრთნელი: სეზონის წინ რამდენიმე ფეხბურთელი წავიდა გუნდიდან და ამიტომაც შედარებით სუსტად ვითამაშეთ — შეთამაშება გვაკლია. შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან „თბილისი“ ჩვენთვის ამოუცნობი გუნდი იყო, საპასუხო მატჩისთვის კი უფრო კარგად მოვემზადებით და მას უკეთესადაც ვითამაშებთ. წინ მძიმე თამაში გველის, მაგრამ უკვე ვიცით, რა ტაქტიკით ვეთამაშოთ „თბილისს“.

— ბურთს ვერ ვინარჩუნებდით და შესვენებაზე ამაზე გავამახვილებინე ყურადღება ჩვენს ფეხბურთელებს. მეორე ტაიმში ფლანგებიც კარგად გამოვიყენეთ და რამდენიმე კარგი მომენტიც შევქმენით.

**გიორგი დევდარიანი,** „თბილისის“ მწვრთნელი: ცოტა მეტი იღბალი რომ გვქონოდა, უფრო სოლიდური ანგარიშითაც მოვიგებდით. რამდენიმე ფეხბურთელმა სათამაშო დისციპლინა დაარღვია, თორემ ჩვენი ტაქტიკა უფრო ეფექტური გამოდგებოდა. საპასუხო მატჩში მეტოქემ ორი გოლი უნდა გაგვიტანოს, რითაც კონტრშეტევაზე თამაშის კარგი საშუალება მოგვეცემა.

— გამოვყოფდი ჭელიძის კარგ თამაშს და თავდადებას. მატჩის ფირს ყურადღებით ვუყურებთ და დასკვნებს მერე უფრო გავაკეთებთ, თუმც ის კია, რომ ხოჯავამ სათამაშო დისციპლინა დაარღვია — ერთი ფორვარდი პირობითი ცნებაა — ხოჯავა, ჭელიძე და აფციაურიც, ფაქტობრივად, თავდამსხმელები იყვნენ, მაგრამ სქემიდან ერთი კაცის ამოვარდნაც სავალალო შედეგს იძლევა.

— მიქაძეს გოლის შეგდების უნარი ყველაზე კარგი აქვს ჩვენს გუნდში, მაგრამ ალბათ მიმტყუნა ალღომ, მას ბოლომდე რომ ვენდე — მომდევნო მატჩში მიქაძეს გაორმაგებული გარჯა მოუწევს. მან იმიტომ დაარტყა პენალტი, რომ ის ვარჯიშებზე ცივი გონებით გამოირჩეოდა პენალტების დარტყმისას. 11-მეტრიანის ვერგატანისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ.



ავსტრიული მაქსბუნდესლიგა ქართული გოლებით დაიწყო. დავით მუჯირმა „მატერსბურგს“ პირველ და 89-ე წუთებზე ორჯერ გაუტანა და „შტურმს“ 3:1 მოაგებინა. თუმცა ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს მატჩი სხვამხრივაც იყო სასიამოვნო: „მუმუმ“ პირველი გოლი პატრიოტულად აღნიშნა — მაისურა აიწია და მთელ სტადიონს საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა დაანახა...

# ეს საქართველოა, ეს ჩემი დროშაა

## მუჯირმა პატრიოტულად დაიწყო

— შეკრებაზე ყოფნისას გადავწყვიტე, რომ ახალ სეზონში „შტურმის“ ფორმის შიგნით ეს მაისურა ჩამეცვა. მატჩის პირველივე წუთზე უბედნიერესი კაცი ვიყავი — საშუალება მქონდა, ავსტრიელებისთვის ჩვენი დროშა მეჩვენებინა. ახლაც ძალიან მიხარია, რომ თქვენ ამაზე ყურადღება გაამახვილეთ. ეს მაისურა საგანგებო შეკვეთით დავამზადებინე და ყველა თამაშზე ჩავიცვამ. მით უმეტეს, უკვე კარგად დავცადე.

— გაფრთხილებაც მაისურის გახდისთვის მოგცეს?

— მაისურა არ გამიხდია, მხოლოდ ავიწიე. ვიცოდი, რომ გახდა ყვითელი ბარათით ისჯებოდა და ეს თავიდანვე გადავიფიქრე, მაგრამ მაინც გამაფრთხილეს.

— უეფას ახალი წესებით, თავს ზემოთ მაისურის აწევაც გაფრთხილებით ისჯება, თუმცა შენ ეს ამად გიღირდა...

— ყვითელზე არც მინერვიულია. მე ჩემი გავაკეთე და გაფრთხილება აქ რა მოსატანია. გული იმაზე დამწყდა, რომ მეორე გოლისას ვერ გავიმეორე იგივე, მერე ხომ გამაგდებდნენ.

— წინა სეზონში „შტურმს“ მხოლოდ ერთი გოლით შეეწიე, ახლა კი პირველივე ტურში დუბლი შეასრულე. რა შეიცვალა?

— ბევრი მიზეზია, მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ წინა სეზონი მთლიანად გუნდისთვის იყო საშინელი — მაქსბუნდესლიგაში ადგილი ძლივს შევინარჩუნეთ. თან ბოლოს მწვრთნელს მთელი ყურადღება არწაგებაზე ჰქონდა გადატანილი და უფრო დაცვით ფეხბურთს ვთამაშობდით, მე კი უკან დაწეული ნახევარმცველი ვიყავი. ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა — სეზონისთვისაც კარგად მოვემზადეთ და განწყობაც მშვენიერი გვაქვს. პირველივე ტურში მოგება კი უფრო შეგვაგულიანებს.

— შეკრება სად გაიარეთ?

— ავსტრიიდან არ გავსულვართ. მაღალმთიან კურორტზე ორი კვირა ვვარჯიშობდით, მერე კი ამხანაგური მატჩები ვითამაშეთ, ძირითადად დაბალი ლიგის გუნდებთან. ეგ იყო, ბოლოს „დორტმუნდს“ შევხვდით და 1:1 ვითამაშეთ.

— მწვრთნელმა ამპლუა ხომ არ შეგიცვალა?

— ახლა უფრო მეტს ვუტევ. „მატერსბურგთანაც“ გამოკვეთილი გამთამაშებელი ვიყავი, დაცვაში ჩასვლა ხშირად არ მიწევს. თუმცა, გააჩნია, რომელ თამაშში როგორ იქნება საჭირო...

— ფიზიკური მომზადება შენთვის ყოველთვის საპრობლემო იყო. 89-ე წუთზე გატანილი გოლი იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მთელი მატჩი თანაბარ დონეზე ჩაატარე?

— ადრინდელთან შედარებით თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. მართალია, ჯერ მხოლოდ ერთი ტურია გასული, მაგრამ იმედი მაქვს, ფიზიკურად მერეც არ გამიჭირდება.

— გოლები როგორ გაიტანე?

— პირველი ახლოდან შევაგდე. საჯარიმოში არეულობა იყო და ბურთი უცებ მოვიხელთე, გავისწორე და მარჯვენა ფეხით დავარტყი. მეორე გოლამდე კი 2:1-ს ვიგებდით, „მატერსბურგი“ გვიტევდა და კონტრშეტევაზე დავიჭირეთ. ჩვენს ნახევარზე ავიღე ბურთი, მატერსბურგელებს გავცდი და გავიტანე.

— რას გეგმავთ ახალ სეზონში?

— ჯერ ვერაფერს ვიტყვი. ავსტრიაში დონე ისე გათანაბრდა, რომ ვინ ვის უგებს, ვერ გაიგებ. მაგარი არეული ჩემპიონატია. აგერ, პირველივე ტურში ჩემპიონმა ლიგის დებიუტანტთან წააგო, ამიტომაც კონკრეტულად დაგეგმილი ჯერ არაფერი გვაქვს. ახლა ჩვენთვის უმთავრესია, წინა სეზონის სირცხვილი ავიცილოთ. იმედი მაქვს, წლეულს უფრო წარმატებული სეზონი გვექნება.

**ბახა ზალამბერიძე**

# კურბისს ყაველაშვილის ფრანგულის იმედი აქვს

**ვლადიკავკაზის „ალანია“** მორიგი ტურის მატჩს 17 ივლისს მოსკოვში „დინამოსთან“ გამართავს. ამ შეხვედრაში, შესაძლოა, სამივე ქართველმა ითამაშოს. ყოველ შემთხვევაში ლევან გვაზავა, ვიტალი დარასელია და მიხეილ ყაველაშვილი თავს კარგად გრძნობენ და მატჩისთვის სრული დატვირთვით ემზადებიან, მანამდე კი, „ალანიას“ ფრანგმა მწვრთნელმა როლან კურბისმა რუსული მასმედიისთვის საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. კურბისი ახალშეძენილ ფორვარდს, მიხეილ ყაველაშვილსაც შეეხო და ეს თქვა:

— ყაველაშვილს გოლის კარგი ალღო აქვს, ის ეგრეთ წოდებულ გამტან ფორვარდთა კატეგორიას მიეკუთვნება. მაღალრეიტინგიან შვეიცარიულ ჩემპიონატში 16 გოლის გატანა მოახერხა, რაც სახუმარო საქმე არაა. ყაველაშვილი ჩვენთან კარგ ფორმაში მყოფი მოვიდა და მასზე დიდი იმედებსაც ვამყარებთ. გარდა ამისა, ის ფრანგულადაც ლაპარაკობს, რაც მასთან ურთიერთობას გამიადვილებს. „ალანიასთან“ ყაველაშვილის სწრაფ ადაპტაციას ხელს ერთი გარემოებაც შეუწყობს — მისი თანამემამულეები, გვაზავა და დარასელია ჩვენი გუნდის წამყვანი მოთამაშეები არიან.

კურბისი დარასელიას და გვაზავას ტრავმისშემდგომ პერიოდსაც შეეხო — ორივეს საკმაოდ რთული ტრავმები ჰქონდათ და ახლა, საბედნიეროდ, სრულად გამოჯანმრთელდნენ. მათ სათამაშო ფორმაც მალევე აღიდგინეს.



კურბისმა ისიც თქვა, რომ გუნდის გასაძლიერებლად კიდევ ორ მცველს შეიძენს და კიდევ ერთ ძლიერ ფორვარდზეც არ იტყვის უარს. შესაძლო შენაძენთა შორის გვარით ქართველი, მაგრამ რუსეთის მოქალაქე ზურაბ წიკლაურიც სახელდება — წიკლაურს უკვე ერთი კვირაა, ვაკვირდებით, კიდევ ერთ კვირას მოვიცდით და მერელა გადავწყვეტთ, გავუფორმოთ თუ არა მას კონტრაქტი — განაცხადა ფრანგმა.

**დავით ერაძე**

# ექვსგურჯა ხაზარმა ორი უკრაინელიც მოისურვა: კონკოვი და ბესონოვი

**გუშინ** „შამქირი“ „თბილისს“ კი ეთამაშა, მაგრამ აზერბაიჯანის ეროვნულ ჩემპიონატში შესვენებაა და იქაური გუნდები შვებულებაში არიან. არდადეგები აქვს ბაქოს „ხაზარსაც“, სადაც ექვსი ქართველი თამაშობს — ჩლაიძე, გოდერძიშვილი, ჩიგოშვილი, სოხაძე, ზირაქიშვილი და დათვაძე.

თუმც „ხაზარი“ ვერ ისვენებს და ეს მოუსვენრობა იმითაა განპირობებული, რომ წარსულში სახელიან უკრაინელ ფეხბურთელებს ეპატიჟებიან მწვრთნელებად — „ხაზარის“ მფლობელ ბანკ „ინტერნაციონალს“ სურს, რომ გუნდს ანატოლი კონკოვი და ვლადიმირ ბესონოვი გაუძღვნენ. კონკოვი 70-იან წლებში კაპიტნობდა კიევის „დინამოს“, რომელმაც თასების თასი და სუპერთასი მოიგო, ხოლო ბესონოვის ვარსკვლავი 70-იანი წლების ბოლოს ამობრწყინდა — 1977 წელს ტუნისში ჩატარებულ ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბესონოვი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

ერთი სიტყვით, კონკოვი და ბესონოვი ბაქოში ჩავლენ, „ხაზარის“ ინფრასტრუქტურას მოინახულებენ და თუ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, კონტრაქტსაც გააფორმებენ.

**დავით თავართქილაძე**



# ისიანმა ქვემო ქართლიდან უფრო ქვემოთ ჩაინაცვლა

**ბოლნისის „სიონის“** კაპიტანი შალვა ისიანი ბაქოს „ნეფთჩიში“ გადავიდა. ტრანსფერი უკვე მოგვარებულია და ჩვენებური აზერბაიჯანის ჩემპიონს ჩემპიონთა ლიგის მატჩშიც შეეშველა. „ნეფთჩიმ“ სტუმრად 1:2 წააგო ბოსნიურ „შიროკი ბრიაგთან“, ისიანი კი 85-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.

ბაქოელები 0:2 აგებდნენ, თუმც ზაურ ტაგიზადემ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ერთი ბურთის გატანა შეძლო და ახლა „ნეფთჩის“ მშვენიერი შანსი აქვს მეორე ეტაპზე გასასვლელად. ამ წყვილის გამარჯვებული მოსკოვის ცსკა-ს ხვდება.

# კოპა ამერიკა 2004
## პერუ (6-25 ივლისი)
### C ჯგუფი. III ტური

**ბრაზილია 1:2 პარაგვაი**

0:1 ხ. გონსალესი (28), 1:1 ლუის ფაბიანო (35), 1:2 ბარეირო (71)
ბრაზილია: ჟულიო სეზარი, მაისონი, ლუიზაო, კრისი, გუსტავო ნერი, რენატო, კლებერსონი (რიკარდო ოლივეირა 75), ედუ (დუდუ 65), ფელიპე (დიეგო 65), ადრიანო, ლუის ფაბიანო
პარაგვაი: დ. ბარეტო, ე. მარტინესი, პ. ბენიტესი, გამარა, მანსური, ესკიველი, ე. ბარეტო, პარედესი, დოს სანტოსი (ესკობარი 69), ხულიო გონსალესი (ფიგერედო 64), ბარეირო (დ. გონსალესი 77)
გაძევება: მარტინესი (74)
მსაჯი: ჟილბერტო იდალგო (პერუ)
18 000 მაყურებელი

# პარაგვაიმ ბრაზილიას ორი ათასი კილომეტრი გამოუწერა

**ბრაზილიამ** ათკაცა პარაგვაისთან წააგო და ეს ნიშნავს, რომ მექსიკასთან მეოთხედფინალური მატჩის სათამაშოდ პერუს ჩრდილოეთში, ქალაქ პიურაში 2000 კილომეტრის მანძილზე მოუწევს გადაფრენა.

პენტაკამპეონები ჯგუფში პირველ ადგილზე რომ გასულიყვნენ, მაშინ გაცილებით ახლოს, 350 კილომეტრით დაშორებულ ქალაქში გაემგზავრებოდნენ, თუმც ამ შემთხვევაში მათი თვითმფრინავით მგზავრობა საეჭვო იყო, რადგან ავიაკომპანია „ლან პერუს" ლაინერი ხულ 30 კაცს იტევს, ბრაზილიელთა დელეგაცია კი 44 წევრისგან შედგება.

გარდა ამისა, „ლან პერუს" ტრანსპორტის სამინისტროსთან ლიცენზიასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონია მოსაგვარებელი და მინისტრმა ავიაკომპანიის რეისების შეჩერება მოითხოვა.

ისიც გაირკვა, რომ „ლან პერუს" პატრონი ფერნანდო სევალოსი აშშ-ს ფედერალური გამოძიების ბიუროს სამხრეთ ამერიკის ათ უმსხვილეს ნარკოგადამზიდველთა სიაში შეუყვანია, თუმცა თემას გადავუხვიეთ და ახლა ფეხბურთზეც ვთქვათ...

კარლოს ალბერტო პარეირამ „რომას" მცველ მანსინის ნაცვლად მაისონი ათამაშა, რომელიც ამ ზაფხულს „მონაკოში" გადავიდა, ხოლო ალექსის ადგილზე ფელიპე გაამწესა. ბრაზილია უტევდა, პარაგვაი კი კონტრშეტევებზე იყო ჩასაფრებული.

პენტაკამპეონების კარში პირველი გოლი კუთხურს მოჰყვა. ხულიო გონსალესმა ჩაწოდებული ბურთი ჟულიო სეზარის კარში შეაგდო.

ლუის ფაბიანომ შვიდ წუთში გაქვითა. მკერდიდან დაშვებული ბურთი მარჯვენით გაისროლა და ცხრიანში შეჭედა.

მეორე ტაიმის შუაში კი ფრედი ბარეირომ პარაგვაელები დააწინაურა, მერე მსაჯმა პარაგვაელი ემილიო მარტინესი გააძევა, რომელიც ბარეიროს წაქცევისთვის პენალტს უწმაწურად ითხოვდა.

კაცმეტმა ბრაზილიელებმა მეტოქეს მეორე ვეღარ გაუტანეს, კარლოს ალბერტო პარეირამ კი თქვა: „მეოთხედფინალში გასულები ვიყავით და ამ მხრივ განსაკუთრებულ ზეწოლას არ ვგრძნობდით, მაგრამ შორს მგზავრობის აცილება გვინდოდა და ფრის მიღწევა ამიტომაც გვსურდა. დაცვაში ორჯერ შევცდით. კარგია, რომ ჩვენი ნაკლი მეოთხედფინალურ მატჩამდე გამოჩნდა. პარაგვაელები კი კარგად თამაშობდნენ".

საინტერესო ისაა, რომ ბრაზილიისა და პარაგვაის ბოლო ხუთ დაპირისპირებაში პენტაკამპეონები ორჯერ დამარცხდნენ და სამჯერ ფრე იყო.


REUTERS

ბრაზილიელმა ლუის ფაბიანომ კი გაიტანა, მაგრამ რად გინდა...

„ნებისმიერი შეხვედრა ახალ პრობლემებს ბადებს. პარაგვაი გვჯობდა და დამსახურებულად მოგვიგო. ჩვენ კი სამომავლოდ სწავლა გვმართებს, რათა იგივე შეცდომები არ გავიმეოროთ" — აღნიშნა „ინტერის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა ადრიანომ.

გამარჯვებულთა მწვრთნელმა კარლოს საგიერიმ ჟურნალისტებს განუცხადა: „მსოფლიოს ჩემპიონებს მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავთ და ნებისმიერ მეტოქეს უჭირს მათთან თამაში, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემმა შეგირდებმა მოწინააღმდეგეს აჯობეს, შანსები გამოიყენეს და მოიგეს. მეტი რა უნდა მკითხოთ?"

**ვაჟა ხუციშვილი**

# კოსტა რიკა გვიან გამოძვრა

**ჩილე 1:2 კოსტა რიკა**

1:0 ოლარა (39), 1:1 რაიტი (59), 1:2 ერონი (90)
ჩილე: ვარასი, ი. ფუენტესი, ლ. ფუენტესი, ოლარა, რ. პერესი (მიროშევიჩი 71), კ. აკუნია (მელენდესი 46), მილარი (აროსი 71), ვალენსუელა, ლ. ხიმენესი, მანსილია, ს. გონსალესი
კოსტა რიკა: რ. გონსალესი, ა. კასტრო, ლ. მარინი, მ. რაიტი, ლ. გონსალესი (ხ. დიასი 46), ბრისი (საბორიო 76), ბადილა (უილსონი 46), სეკეირა, სენტენო, ერონი, ა. სოლისი
მსაჯი: რენე ორტუბე (ბოლივია)
20 000 მაყურებელი

**კოპა ამერიკაზე** ეს შესაძლებელია — ორი მატჩი წააგო, მესამე მოიგო და მეოთხედფინალში მაინც აღმოჩნდე.

კოსტა-რიკა პარაგვაისთან და ბრაზილიასთან დამარცხდა, მაგრამ მესამე ტურში ჩილეს ენდი ერონის მსაჯის მიერ დამატებული დროის ბოლო, მეოთხე წუთზე გატანილი გოლით სძლია და როგორც მეორე საუკეთესო მესამეადგილოსანი, ჯგუფიდან გავიდა.

ეს მატჩი ფრედ რომ დასრულებულიყო, მეოთხედფინალში A ჯგუფიდან ორქულიანი ბოლივია გადიოდა, თუმც ერონმა არ ინება ასე და კოსტა რიკა გაიყვანა.

ჩილე შინ გაემგზავრა, კოსტარიკელები კი ხვალ ტრუხილიოში კოლუმბიას შეხვდებიან.

ორივე გუნდს მოგება ჰაერივით სჭირდებოდა და თამაშიც ღია, თვალსასეირო გამოდგა.

პირველად ჩილელებმა გაიხარეს — ლუის ხიმენესმა ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც რაფაელ ოლარამ თავური დაჰკრა და ანგარიშიც ასე გაიხსნა.

დაწინაურებულები მერეც კარგად უტევდნენ, ზემოხსენებულმა ხიმენესმა პირველივე ტაიმში ერთხელ შორიდანაც გაისროლა, ბურთი ხარიხას შეაწყვიტა და საქმესაც ისეთი პირი უჩანდა, ჩილელებს იოლად უნდა მოეგოთ, მაგრამ შესვენების შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა.

კოსტარიკელებმა მარჯვენა ფლანგიდან ვალტერ სენტენოს ჩაწოდებულის და მაურისიო რაიტის ახლოდან შეგდებულით გაათანაბრეს.

89-ეზე კვლავ ხიმენესს შეეძლო ჩილელთა დაწინაურება, მაგრამ მეკარე რიკარდო გონსალესმა მისი თავური სასწაულებრივ მოიგერია. აქვე ისიც უნდა ითქვას, ახლა, კოსტა რიკა რომ მეოთხედფინალშია, სწორედ მეკარე რიკარდო გონსალესის დამსახურებაა, მან ჩინებულად ითამაშა.

ენდი ერონმა კი გამარჯვებისა საჯარიმოში მარჯვნიდან შეჭრილმა შეაგდო — ბურთს მთელი ძალით ამოსცხო და შორეულ კუთხეშიააფართხალა.

**ვაჟა ხუციშვილი**


REUTERS

გახარებულ კოსტარიკელებს ჩილელთა წუხილი რაში ადარდებთ...

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ბრაზილია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| კოსტა რიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 6:3 | 3 |
| ჩილე | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

**მეოთხედფინალი**

17 ივლისი
პერუ – არგენტინა
კოლუმბია – კოსტა რიკა
18 ივლისი
პარაგვაი – ურუგვაი
მექსიკა – ბრაზილია



# ფიგეროამ ოჯახი ააწიოკა

**ლუჩანო** ფიგეროამ გასული სეზონის ექვსი თვე პრემიერლიგურ „ბირმინგემში" გაატარა, სადაც ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა.

არგენტინელი თავდამსხმელი სამხრეთ ამერიკაში დაბრუნდა და ახლა მექსიკური „კრუზ ასულის" ღირსებას იცავს.

ურუგვაისთან მატჩში მან მეორედ ითამაშა ნაკრებში, პირველი გოლი მიითვალა და საბოლოოდ დუბლიც შეასრულა.

„ნამატჩევს სასტუმროში მივედი და შინ დავრეკე. ჩემი ოჯახის წევრები ტიროდნენ, ყვიროდნენ, მილოცავდნენ, რადგან ოცნება ამიხდა. ძალიან ბედნიერი ვარ, მიხარია და მსურს, ეს სიხარული ყველას გავუზიარო".

ლუჩანო ფიგეროას ცხრანომრიანი მაისურა აცვია, ისევე, როგორც თავის დროზე გაბრიელ ბატისტუტას და ფორვარდი ამით ამაყობს.

არგენტინული მედია გაოცდა, როცა გაიგო, რომ მარსელო ბიელსამ ურუგვაისთან მატჩისთვის ხავიერ სავიოლას ფიგეროა ამჯობინა, მაგრამ მწვრთნელმა გამოიცნო.

„არ ვიცოდი, ბიელსა ძირითად თერთმეტეულში გამწესებას თუ მიპირებდა. გასახდელში შევედი და იქ მითხრეს, რამაც უზომოდ გამახარა".

23 წლის თავდამსხმელი 2002 წლის სეზონში არგენტინის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა 17 გოლით.

იგი შარშან შემოდგომაზე პრემიერლიგურმა „ბირმინგემმა" წაიყვანა. ექვსი თვე სათადარიგოთა სკამი ხეხა, შემდეგ კი „კრუზ ასულში" გადავიდა. მექსიკური გუნდი მისი გოლებით ქვეყნის ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა და იქ მომავალ ჩემპიონ „უნამთან" დამარცხდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მასპინძელი გაიბუტა
## პერუს ნაკრები ბუტიაობას აგრძელებს და მედიასთან არ საუბრობს

**ბოლივიასთან** პირველი მატჩის (2:2) შემდეგ ერთ-ერთმა იქაურმა გაზეთმა გამოჩხრიკა, რომ ორი ფეხბურთელი თამაშამდე ორი დღით ადრე რესტორანში ღრეობდა.

ეს ფაქტი მწვრთნელმა და მისმა შეგირდებმა უარყვეს, გაბრაზდნენ და მშობლიურ ჟურნალ-გაზეთებს აღარ ელაპარაკებიან.

დამხვდურთა თავკაცმა პაულო აუტორიმ პრესკონფერენციას უგანა და ფეხბურთელებსაც აუკრძალა მიკროფონებთან საუბარი.

ნაკრების წარმომადგენელმა ერნან ზამუდიომ კი განაცხადა: „გუნდმა ასე გადაწყვიტა და ამას პატივი უნდა ვცეთ".

პერუ დახურულ ვარჯიშებს ატარებს, სადაც ჟურნალისტები ვერ შეაღწევენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა 2004-2005
### საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

**რეიკიავიკი** (ისლანდია) 2:2 **შელბურნი** (ირლანდია)
1:0 სიგურგეირსონი (47), 2:0 ოლაფსონი (54), 2:1 ა. მური (84), 2:2 კ. სიგურდსონი (86ს.კ.)

**ლინფილდი** (ჩრდ. ირლანდია) 0:1 **ჰიკ** (ფინეთი)
0:1 კოტილა (76)

**სკონტო** (ლატვია) 4:0 **რილი** (უელსი)
1:0, 2:0 მიხოლაპსი (10, 56), 3:0 დედურა (65), 4:0 ვაშნიაკოვსი (78)

**გომელი** (ბელარუსი) 0:2 **ტირანა** (ალბანეთი)
0:1 დ. მუკა (75), 0:2 ფორტუცი (88)

**ფლორა** (ესტონეთი) 2:4 **ნოვა გორიცა** (სლოვენია)
0:1 სრებრნიჩი (29), 0:2 კრშიჩი (72), 0:3 როდიჩი (74), 1:3 ზაჰოვაიკო (80), 1:4 პანიში (88), 2:4 პოსტი (90)

**შერიფი** (მოლდოვა) 2:0 **ჟენესი** (ლუქსემბურგი)
1:0 პრიგანიუკი (32), 2:0 ს. კუზნეცოვი (68)

# რიგაში და ტალინში წყვილად იშლიგინეს

**მოლდოვის** ჩემპიონმა „შერიფმა" ლუქსემბურგულ „ჟენესს" ორ გოლზე მეტი ვერ გაუტანა მიუხედავად იმისა, რომ 90 წუთის განმავლობაში მასპინძლები უტევდნენ.

პირველ ტაიმში იური პრიგანიუკმა კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თავით შეაგდო, ხოლო მეორე ნახევრის დასაწყისში მსგავსი მომენტი ვერ გამოიყენა — ხარიხას გაარტყა.

მეორე გოლისას თეიმურაზ ბურნაძისა და გეორგი ფლორესკუს წამოწყებული კომბინაციით სერგეი კუზნეცოვმა იხეირა.

„შერიფს" ამის შემდეგაც არაერთხელ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მოლდოველებმა „ჟენესის" კარს გასაღები ველარ მოარგეს.

წყვილში გამარჯვებული მომდევნო ეტაპზე ტრონდჰეიმის „რუსენბორგს" შეხვდება.

ტალინში გამართულ „ფლორასა" და „ნოვა გორიცას" მატჩის ბოლო თხუთმეტ წუთში ხუთი გოლი გავიდა.

ესტონელთა ზაჰოვაიკომ პირველ ტაიმში რამდენიმე ხელსაყრელი ეპიზოდი გაანიავა, ხოლო სლოვენიელები პირველივე შეტევით დაწინაურდნენ.

შეხვედრის დასრულებამდე თექვსმეტი წუთით ადრე „ფლორას" მეკარე მარტინ კაალმა შეცდა, რითაც ადმირ კრშიჩმა ისარგებლა და ესტონელებს მეორე გაუტანა.

უმალვე სტუმართა კართან თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, რადგან „ნოვა გორიცას" მეკარემ ზაჰოვაიკო წააქცია. პენალტის შესრულება წაქცეულმავე ითავა და ეს უხეიროდ გააკეთა.

სტუმრებმა საპასუხო შეტევისას მესამე შეაგდეს. ალექსანდრ როდიჩი მცველებს დაუსხლტა და კაალმა მესამედ დაამწუხრა.

ზაჰოვაიკომ მაინც მიაღწია საწადელს და თავით ერთი გოლი კი გაქვითა, მაგრამ კაალმა კიდევ ერთხელ შეცდა, რაც საშა პანისმა არ აპატია. ხოლო შეცვლაზე შესულმა სანდერ პოსტმა მატჩის ბოლო წუთზე ანგარიშში სხვაობა ორამდე შეამცირა.

ტალინის „ფლორა" მეთერთმეტედ ჩაერთო ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, მაგრამ ეს ბარიერი ერთხელაც ვერ გადალახა.

რიგის „სკონტომ" უელსური „რილი" იოლად დაჯაბნა, თუმც მეათე წუთზე მიხაილს მიხოლაპსის წყალობით დაწინაურებული მასპინძლები მეორე ნახევრის დასაწყისამდე მეტოქის კარს ამაოდ უტრიალებდნენ.

ალექსანდრს სტარკოვსმა ერთი ცვლილებით დააჩოქა უელსელები. კრისტოფს ბლანკსმა მარცხენა ფლანგი აიკლო. მისი დარტყმული ბურთი ერთხელ ძელს მოხვდა, მერე კი გოლების ცვენა დაიწყო.

კარისკენ ზურგით მდგარმა მიხოლაპსმა მოულოდნელად, შემობრუნებით დაჰკრა და „რილის" მეკარე გააოგნა. შემდეგ მენთეშაშვილის ჩაწოდებულ კუთხურზე დედურამ თავური დარტყმით იხეირა, ბოლოს ვაშნიაკოვსმა მეოთხე მიაყოლა. ბლანკსმა ბურთი ერთხელაც შეაწყვიტა კარის ჩარჩოს.



სკონტო — რილი. მიხაილს მიხოლაპსმა უელსელებს ორჯერ გაუტანა

„შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ — თქვა სტარკოვსმა — მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მომდევნო ეტაპზე გასვლა გარანტირებული გვაქვს".

„ასეთი დონის გუნდებთან თამაშით გამოცდილებას ვიძენთ, თუმც მათ იშვიათად ვხვდებით. მიუხედავად ამისა, საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, მაგრამ ფრეც არ იქნება ურიგო შედეგი" — დასძინა პრესკონფერენციაზე უელსელთა თავკაცმა.

**ვაჟა ხუციშვილი**




# ფიორეს ეს უნდოდა

**სტეფანო** ფიორემ „ვალენსია" „ბარსელონაში" არ გაცვალა. საქმე ისაა, რომ ფიორე ესპანეთში გასულ თვეში გადავიდა, როდესაც იგი და ბერნარდო კორადი „ლაციომ" 20 მილიონ დოლარზე ძვირად მიჰყიდა „ვალენსიას". მას შემდეგ კი გაირკვა, რომ კატალონიელებსაც სდომებიათ მასთან გარიგება.

„ბარსელონელებთან შეხვედრები და საუბრები ბევრჯერ მქონდა, მაგრამ საბოლოოდ „ვალენსიაში" ჩამოსვლა და აქაურ გეგმებში მონაწილეობა ვამჯობინე — განმარტა 29 წლის იტალიელმა — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ვალენსია" უეფას თასის მფლობელი და ესპანეთის ჩემპიონია. მას ჩემი შეძენა სურდა, მე კი აქ თამაში".

„პარმასა" და „უდინეზეში" ნათამაშევი უნივერსალური ნახევარმცველი იმედოვნებს, რომ ესპანეთში ბოლოს და ბოლოს თავის პოზიციას მიაგნებს.

„ჩემთვის ყველაზე სასურველი შუა ნახევარმცველის პოზიციაა, თუმცა ძირითადად ფრთაზე მათამაშებენ".

შეგახსენებთ, რომ „ვალენსიაში" ფიორეს შეფი იქნება „ჩელსიდან" ახალწამოსული კლაუდიო რანიერი.

„მე აქ ვარ, რათა რანიერის დავეხმარო და ჩემპიონი გავხდე. ის ძლიერი მწვრთნელია და მწამს, მისი ხელმძღვანელობით ტიტულებს მოვიგებთ" — დაძინა ბოლოს ფიორემ.

**პაპუნა ძიძია**

# აგალი შალკეს არ ეხუმრება, ემუქრება

**გასული** სეზონის ბოლოს გელზენკირხენის „შალკედან" რეჟიმის დარღვევისთვის მეგოლე ვიქტორ აგალი გაუშვეს. ნიგერიელი ფორვარდი როსტოკის „ჰანზაში" გადაბარგდა და იქიდან გამოლანძღა ყოფილი გუნდი.

„შალკემ" აგალი 2001 წელს 5 მილიონ ევროდ შეიძინა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ხვდებოდა. ბოლოს კლუბის ბოს რუდი ასაუერთან და მწვრთნელ იუპ ჰაინკესთან კამათი მოუვიდა, რისთვისაც დაითხოვეს.

„გელზენკირხენში" არავის უკითხავს, თუ რატომ ვთამაშობდი ცუდად. იგივე მდგომარეობაში იყო ემილ მპენზა. ჩვენ საჯაროდ შეურაცხგვყვეს. მწრთნელმა მითხრა, რომ მე მეექვსე თავდამსხმელი ვარ გუნდში და რაც არ უნდა ოფლი მეღვარა, ძირითად შემადგენლობაში ვერ მოვხვდებოდი. ამიტომაც წავედი" — თქვა აგალიმ.

შარშანდელ სეზონში ნიგერიელს „შალკეში" მხოლოდ თორმეტჯერ ეღირსა თამაში, მიუხედავად იმისა, რომ გელზენკირხენულ გუნდს შეტევაში აშკარად უჭირდა. აგალიმაც ყოფილ კლუბში დაბრუნება არჩია და აგვისტოდან ბუნდესლიგაში „ჰანზას" მაისურით ითამაშებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



ვიქტორ აგალი



გუს ჰიდინკი: მიმიღებთ, გერმანელებო?

# კაიზერ ფრანცმა ჰიდინკი ახსენა
## გერმანიამ კი ფურთხი

**გუშინ** ვწერდით, რომ ფრანც ბეკენბაუერი ბუნდესნაკრების მწვრთნელად უცხოელის დანიშვნას ემხრობა.

„კაიზერ ფრანცმა" წუხელ თავისი კანდიდატიც დაასახელა — გუს ჰიდინკი.

„სავსებით მისაღები მწვრთნელია" — განაცხადა მან, ხოლო ჰიდინკს ეს ამბავი ეამა და თქვა: „სასიამოვნოა, როცა ბეკენბაუერის წონის ადამიანი ჩემზე ასე ფიქრობს".

„კაიზერს ფრანცმა" და ჰოლანდიელმა კი გაცვალეს კეთილი სიტყვები დაუსწრებლად, მაგრამ მისაღებია თუ არა უცხოელი თავკაცი გერმანიისთვის? — კითხულობს „ბილდი", რომელმაც მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატი გაიხსენა, არ დაგავიწყდეთ, ფრანკ რაიკარდმა რუდი ფიოლერს რომ შეაფურთხა.

**ვაჟა ხუციშვილი**



კარლო ანჩელოტი და ერნან კრესპო ისევ ერთად არიან

# ჯანზე ვარ, ხალხო!

## საჩუქარი პაპა კარლოს დაუბრუნდა

**ახლა**, როდესაც საქმე უკვე მოგვარებულია და ერნან კრესპო „ჩელსიდან“ „მილანში“ გადაბარგდა, რაღაც-რაღაცეებზე უკვე წარსულ დროში შეიძლება ლაპარაკი. კერძოდ, დღეს კრესპო კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ „მილანში“ გადასვლის სურვილი მას ძირითადად მწვრთნელის, კარლო ანჩელოტის გამო გაუჩნდა.

„ჩემი მოსაზრებები ძირითადად ანჩელოტის ფაქტორს ეფუძნებოდა — დასძინა თავდამსხმელმა — თუმცა, გთხოვთ, ჯერჯერობით ბევრს ნუ მალაპარაკებთ. მინდა, სამედიცინო ტესტირება წარმატებით გავიარო და რაღაც-რაღაც დეტალებიც დავაზუსტო.“

კრესპოსა და სერია A-ს განშორება მხოლოდ 12 თვეს გრძელდებოდა. ამ ერთი წლის განმავლობაში არგენტინელმა „ჩელსიში“ გაატარა საკმაოდ ძნელი და უსიამოვნო დღეები. მთელი სეზონის განმავლობაში ის მხოლოდ თვრამეტჯერ შევიდა მოედანზე, თუმცა მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ თვრამეტ შეხვედრაში ათი გოლის გატანა მაინც მოახერხა.

მოგეხსენებათ, „მილანი“ ბოლო ხანს ანდრეი შევჩენკოს, ფილიპო ინძაგის და იონ დალ ტომასონის შემდეგ მეოთხე თავდამსხმელის ძებნით იყო დაკავებული და კრესპო გუნდისთვის ჩინებული შენაძენია. თავად განსაჯეთ, მისი დონის ფეხბურთელს მთავარ ფორვარდად რამდენი გუნდი ინატრებდა.

„ის სამი ფეხბურთელი, რომლებიც „მილანში“ დამხვდება, დიდი თავდამსხმელები არიან — თქვა კრესპომ — მათ თავიანთი ოსტატობა და დონე ბევრჯერ დაუმტკიცებიათ, რაც შეეხება ჩემს გულშემატკივრებს, მინდა, ისინი დავამშვიდო და ვუთხრა, რომ დიდებულ ფიზიკურ ფორმაში ვარ. ჩემი ჯანზე ყოფნა საეჭვო და სანერვიულო ნამდვილად არ არის!“

კრესპოს ყიდვით კმაყოფილება გამოთქვა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმაც.

„კმაყოფილი ვარ, კრესპო ჩვენი ფეხბურთელი რომ გახდა. ეს ის ტრანსფერია, რომელიც კლუბში აბსოლუტურად ყველას სურდა, ხოლო არგენტინელის მოედანზე გამოჩენა ჩვენი გულშემატკივრებისთვის აშკარა საჩუქარი იქნება“.

და როდესაც „მილანსა“ და „ჩელსის“ შორის მიღწეული შეთანხმების სპეციფიკურ მხარეებზე ჰკითხეს, გალიანიმ პასუხს თავი აარიდა: „ეს ჩვენი საიდუმლო იყოს.“

**პაპუნა ძიძია**

# ლაუდრუპი არა, მაგრამ...

**„მილანში“** ერნან კრესპო მივიდა და იქ ანდრეი შევჩენკო, ფილიპო ინძაგი და იონ დალ ტომასონი დახვდნენ. ამბობენ, ამათგან რომელიღაც მეოთხე თავდამსხმელი უნდა იყოსო. როგორია ამ კამპანიაში მეოთხეობა?! ან, ბოლოს და ბოლოს, რომელია მეოთხე? თითქოს, ტომასონსა და კრესპოს შორის ერთი-ერთი, ხომ?! მაგრამ, ტომასონს რომ წინა დიდებული სეზონი ჰქონდა?! გასულ სეზონში, რომელშიც მისმა „მილანმა“ სკუდეტო მოიპოვა, ტომასონმა 12 გოლი შეაგდო.

შემდეგ, როდესაც საკლუბო სეზონი დამთავრდა, 27 წლის დანიელი ევრო 2004-ზე გამეგზავრა და იქაც საკმაო ყურადღება მიიზიდა.

„ხალხი ჩვენგან შემტევ ფეხბურთს ელოდა და, ვფიქრობ, იმედი არც გასცრუებიათ. ჩვენ ყოველთვის გოლზე ვართ დაგეშილები, მუდამ წინ წასვლას და ბურთის მეტოქის კარში შეგდებას ვცდილობთ“ — ამბობს ფორვარდი.

ტომასონს „მილანამდე“ გრძელი გზა ჰქონდა უცხოეთში. თავდაპირველად ინგლისში წავიდა, მაგრამ იქ, „ნიუკასლ იუნაიტედში“ მოკლე და უხეირო დროება გაატარა და იქიდან 1998 წელს ჰოლანდიურ „ფეიენოორდში“ გადავიდა. „ფეიენოორდის“ შემადგენლობაში ტომასონმა 2002 წელს უეფას თასი მოიგო და იმავე ზაფხულს მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხი გოლი შეაგდო.

2002-03 წლების სეზონში დანიელმა თავის კოლექციას ჩემპიონთა ლიგის ტიტულიც მიამატა, ოღონდ ეს უკვე „მილანის“ შემადგენლობაში.

იონ დალ ტომასონის დამახასიათებელი თვისება მისი მრავალმხრივობა გახლავთ. მას შეუძლია როგორც ცენტრალური თავდამსხმელის, ასევე ეგრეთ წოდებული მეორე ფორვარდის ფუნქციის შესრულება. სხვათა შორის, ბურთის მიღებისა და ცალკეული ტექნიკური თვისებების გამო იგი ხშირად შეუდარებიათ დიდი დანიელი ფეხბურთელისთვის, მიქაელ ლაუდრუპისთვის. ეს შედარება ტომასონისთვის, ცხადია, სასიამოვნოა, მაგრამ იმავდროულად იგი აღიარებს, რომ „რეალსა“ და „ბარსელონაში“ ნათამაშევ ვარსკვლავს ვერ შეედრება.

„მიქაელ ლაუდრუპთან გატოლება ძალიან ძნელი საქმეა. ლაუდრუპი, უბრალოდ, სხვა კლასის ფეხბურთელი გახლდათ, ის დიადი იყო მოედანზე და, სხვათა შორის, ბრწყინვალე ადამიანიცაა. ჩვენ ერთამანეთისგან ძალიან განვსხვავდებით. მას ძალიან დიდი სიმაღლეები დაუპყრია და ესპანეთშიც დიდ კლუბებში უთამაშია. ერთი სიტყვით, ჩემი კარიერის ამ ეტაპზე მე მას აშკარად ვერ შევედრები“.

**პაპუნა ძიძია**



იონ დალ ტომასონი დიდ მიქაელ ლაუდრუპს შეადარეს

# საყოველთაო მობილიზაცია

## მალე შევა მამა გახდება

„მილანის“ უკრაინელმა მეგოლე ანდრეი შევჩენკომ შვებულება ამერიკაში გაატარა. ევროპაში წამოსვლამდე მან არდადეგების შესახებ ილაპარაკა



ანდრეი შევჩენკო

„ძალიან კარგად დავისვენე. მძიმე სეზონის შემდეგ ეს აუცილებელია. სასიამოვნოა ოჯახთან და მეგობრებთან ერთად შვებულებაში ყოფნა. უკეთესს ვერც ვინატრებდი. როცა საქმეს ხუთიანზე გააკეთებ, მერე განტვირთვის უფლებაც გაქვს. გავიგე, რომ ჩემპიონატი აგვისტოში კი არა, სექტემბერში იწყება, მაგრამ არ მწყენია, თუმც ფეხბურთთან ორმოცდღიანი განშორების შემდეგ თამაში ნაღდად მომენატრა...

გუნდში შექმნილ ვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. არაერთხელ გამოვსულვართ რთული მდგომარეობიდან, რადგან „მილანი“ ერთ მუშტად შეკრული გუნდია. გასულ სეზონში ჩემპიონები გავხდით, ჩემპიონთა ლიგაში კი მხოლოდ „დეპორტივოსთან“ „ჩავვარდით, ახლა მეტი ყურადღება გვმართებს. არ ვგულისხმობ კონცენტრაციას, რადგან ყოველთვის მობილიზებულნი ვართ, ჩვეულებრივ ყურადღებაზე ვამბობ...

მუდამ ერთი და იგივე კონკურენტები გვყავს — „იუვენტუსი“ „ინტერი“, „რომა“. ისინი გაძლიერებას ლამობენ, რათა გვაჯობონ. თუმც ამ ზაფხულს მათ სატრანსფერო ამბებით არ დავინტერესებულვარ. ჩვენი შენაძენები იაპ სტამი და ერნან კრესპო კი უმაღლესი კლასის ფეხბურთელები არიან...

„მილანთან“ კონტრაქტის გაგრძელებამ უზომოდ გამახარა. ეს საუკეთესო მომენტი იყო ჩემს კარიერაში. ხუთი სეზონი უკვე გავატარე ამ გუნდში, მათ კი ისურვეს, კარიერის ბოლომდე „მილანში“ დავრჩე...

გავიგე, რომ 40 ათას ქომაგს სეზონური აბონემენტი უკვე უყიდია. ძალიან შთამბეჭდავი რიცხვია. ჯერ ხომ სეზონის დაწყებამდე ორი თვეა დარჩენილი. გულშემატკივრების მეტად მადლიერი ვარ...

მალე კრისტენთან ერთად შვილს ველი და ეს უდიდესი ბედნიერებაა...

*ეს შევჩენკომ ამერიკაში ილაპარაკა, გუშინ კი „მილანი“ ბაზაზე შეიკრიბა და წლეულს პირველად, თუმც არასრული შემადგენლობით ივარჯიშა. ევროპის ჩემპიონატზე მოთამაშე მილანელები ჯერ კიდევ ისვენებენ, ისინი გუნდს 30 ივლისს შეუერთდებიან.*

**გაჟა ხუციშვილი**

# და განცხრომით სხვაგან ყოფნას...



მასიმო ამბროზინი „მილანის“ ერთგულია

**გუშინაც** ვწერდით, „მილანმა“ მასიმო ამბროზინისთან დაკავშირებულ ჭორებს ბოლო რომ მოუღო— ნახევარმცველს კონტრაქტი კიდევ ერთი წლით განუახლა.

არადა, ამბროზინის სახელს სხვადასხვა გუნდს უკავშირებდნენ. საქმე ისაა, რომ წინა სეზონში, როდესაც „მილანმა“ სკუდეტო მოიგო, ამბროზინი ძირითადად სცენის მიღმა იყო. ის კონკურენციას ვერ უწევდა ისეთ ფეხბურთელებს, ანდრეა პირლო, კლარენს ზეედორფი, ჯენარო გატუზო და სხვანი რომ არიან. ამიტომაც ალაპარაკდნენ მის ტრანსფერზე, მით უფრო, რომ მთელი სეზონი სათადარიგოთა სკამზე ჯდომის მიუხედავად, ამბროზინის მიმართ ინტერესს გამოხატავდნენ ისეთი გუნდები, როგორიც, მაგალითად, არც მეტი, არც ნაკლები, მადრიდის „რეალია“. „რეალის“ გარდა აქტიურობდა სერია A-ში დაბრუნებული, აღორძინებული „ფიორენტინაც“, მაგრამ 27 წლის ფეხბურთელმა ისევ „შავ-წითლებთან“ მოაწერა ახალ კონტრაქტს ხელი. ახლა ამბროზინი „მილანში“ 2006 წლამდე დარჩება.

და აღსანიშნავია, რომ წინა სეზონში სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მასიმო ამბროზინის ევრო 2004-ზე ვერმოხვედრად დაუჯდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, მან მაინც არ ისურვა სხვაგან გადასვლა. შესაძლოა, ამის მიზეზი ის იყოს, რომ ახალი სეზონის პირველ ხანებში მას ძირითად შემადგენლობაში თამაშის საშუალება მიეცემა — ზეედორფს ოპერაციის შემდეგ აღდგენა და დასვენება სჭირდება, ხოლო პირლო, სავარაუდოდ, საბერძნეთში, ოლიმპიადაზე წავა.

**პაპუნა ძიძია**

# ბულგარეთს ხრისტო ჰფარავს



ელექტრონული ბიბლიოთეკა

ეჭვი გვაქვს, ხრისტო სტოიჩკოვი მწვრთნელობაშიც მკაცრი იქნება

**ბულგარული** ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი, ხრისტო სტოიჩკოვი გუშინ მშობლიური ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა.

სტოიჩკოვის სამწვრთნელო გამოცდილება გასულ სეზონში „ბარსელონას“ თავდამსხმელთა ვარჯიშით ამოიწურება, მაგრამ ბულგარეთში მისი ავტორიტეტი იმდენად დიდია, რომ ამას არად დაგიდევენ და ყოფილი ვარსკვლავი ორწლიანი კონტრაქტით შეკრეს.

„იგი დანიშნა ბულგარეთის საფეხბურთო კავშირის აღმასკომმა, რომელმაც გადაწყვეტილება კენჭისყრით მიიღო. უნდა ითქვას, რომ მისმა წინამორბედმა, პლამენ მარკოვმა უარი თქვა ხელშეკრულების განახლებაზე“ — განაცხადა კავშირის პრესმდივანმა ათანას კარაივანოვმა.

38 წლის სტოიჩკოვს სოფიაში 23 ივლისს ელიან, თანაშემწეთა ჯგუფს იგი ბულგარეთში ჩასვლის შემდეგ დაასახელებს.

სააგენტო „როიტერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სტოიჩკოვის დანიშვნით კმაყოფილება კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა, ბორისლავ მიხაილოვმა გამოთქვა, თუმცა ისიც დასძინა, რომ ამაში გარკვეული რისკიც არის.

„ჩვენ იგი იმიტომ ავირჩიეთ, რომ ძლიერი პიროვნებაა და ძალიან ცნობილია, რის გამოც ფეხბურთელები პატივისცემით მოეპყრობიან. რაც შეეხება რისკს, ის, ცხადია, არის, მაგრამ დიდი გამოცდილება აქვს როგორც ფეხბურთელს და პლუს თანაშემწეები დაეხმარებიან“ — თქვა მიხაილოვმა.

პლამენ მარკოვმა კი თანამდებობა ევრო 2004-ზე უხეირო გამოსვლის გამო დატოვა. შეგახსენებთ, რომ ბულგარეთის ნაკრებმა პორტუგალიაში 0:5 წააგო შვედებთან, 0:2 დანიასთან, ხოლო 1:2 იტალიასთან.

სტოიჩკოვის ფეხბურთელობისას ბულგარელებმა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი დაიკავეს და იმ ტურნირზე „ბარსელონას“ ფორვარდმა 6 გოლი გაიტანა.

სულ ბულგარეთის ნაკრებში ხრისტო სტოიჩკოვმა 83-ჯერ ითამაშა და 37 გოლი გაიტანა, ხოლო როგორც საკლუბო ფეხბურთელმა 1992 წელს ჩემპიონთა თასი მოიგო.

მსოფლიოს 2006 წლის მე-8 შესარჩევ ჯგუფში ბულგარელების გარდა არიან ისლანდია, რომელსაც 4 სექტემბერს ხვდებიან, ხორვატია, მალტა, შვედეთი და უნგრეთი.

**პაპუნა ძიძია**




ფრედი ლიუნგბერგს „არსენალთან“ ერთად კვლავაც ტიტულები უნდა

# შვედმა ფრანგს უბრალოდ ურჩია

**ბოლო** დღეებში ლაპარაკობენ, პატრიკ ვიეირა მადრიდის „რეალში“ მიდისო, კონტრაქტის ღირებულებად კი 30 მილიონ ევროს ასახელებენ, არადა, ფრანგმა შარშან გაახანგრძლივა ლონდონის „არსენალთან“ კონტრაქტი სამი წლით.

ვიეირას შესაძლო წასვლაზე გუშინ მისმა შვედმა თანაგუნდელმა ფრედი ლიუნგბერგმა თქვა, პატრიკს ძალიან უბრალო რამეს ვურჩევ: დარჩი ჩვენთან და ერთად გავაძლიეროთ „არსენალი“.

ვიეირას წინა ზაფხულშიც ეპატიჟებოდნენ „რეალი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „იუვენტუსი“, მაგრამ მაშინ შეთანხმება არ მოხერხდა.

და ისევ ლიუნგბერგი: „პატრიკი დიდი ფეხბურთელია და ჩვენთვის მისი „არსენალში“ დარჩენა ძალიან მნიშვნელოვანია. თუ ის დარჩა, დარწმუნებული ვარ, მომდევნო სეზონში უდიდეს წარმატებებს მივაღწევთ“.

**კოტე კეკელია**

# შირა ეგებ წავიდეს კიდეც
## შერი კი უკვე მივიდა

**ალან შირერმა** „ნიუკასლის“ უფროსობას განუცხადა, რომ თუ ძირითად შემადგენლობაში გარანტირებული ადგილი არ ექნება, კლუბიდან წავა.

„თუ მენეჯერი არ იტყვის, რომ მე ძირითადის მოთამაშე ვარ, სხვაგან გადაბარგება მომიწევს“— თქვა „ჯორდების“ კაპიტანმა და მთავარმეგოლემ. „ჩემთვის ეს ბოლო სეზონია, მერე თამაშს თავს ვანებებ. ამიტომ სკამზე ვერ ვიჯდები, მინდა, რაც შეიძლება მეტი ვითამაშო“.



ალან შირერმა, ერთი წელი კიდევ მათამაშეთო

შირერის ამგვარი განცხადება იმან გამოიწვია, რომ „ნიუკასლი“ ბარსელონელი პატრიკ კლუივერტისა და საუთჰემპტონელი ჯეიმს ბიტის მიყვანას აპირებს.

„ყველამ იცის, როგორ მიყვარს ეს ქალაქი და მისი კლუბი, მაგრამ რა ვქნა? თამაში მინდა“ — თქვა 33 წლის თავდამსხმელმა.

ახლა შირერი ტაილანდის ტურნეში ახლავს კლუბს, რომელშიც 1996 წლიდან თამაშობს. თავის დროზე ის კევინ კიგანმა გადმოიყვანა „ბლექბერნიდან“ და მაშინ ბრიტანეთისთვის სარეკორდო, 15 მილიონი გირვანქაც დაიხარჯა.

ამასობაში კი, უკვე გამოძებნა ახალი კლუბი შირას ძველმა სანაკრებო მეწყვილემ, ტედი შერინგემმა, რომელიც „პორტსმუთმა“ დაითხოვა. 30 წლის შერიმ „ქოვენთრისა“ და „ვესტ ჰემს“ შორის მაინცდამაინც უკანასკნელი ირჩია და ერთი წლით მივიდა „აპტონ პარკზე“ პირველი დივიზიონის გუნდში.



ტედი შერინგემს ფეხბურთი ქალივით არ ეთმობა

ურონსმცემელთა მენეჯერი ალან პერდიუ გახარებულია: „ეს საუცხოო ამბავია. ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის უკეთესი რა უნდა იყოს?“

თავად შერიც, რომელიც სულით ლონდონის კაცია, კარიერა „მილუოლში“ დაიწყო და ორჯერ ყოფილა „ტოტენჰემში“, ამ საქმით კმაყოფილია: „პერდიუს შარშან შევხვდი, როცა ის „რედინგში“ მუშაობდა და მეტად ღრმა კაცად მეჩვენა. ამიტომ, როცა „ვესტ ჰემმა“ მომინდომა, ამ შანსს ჩავეჭიდე. ბიჭობაში სწორედ „ვესტ ჰემის“ ფანი ვიყავი. ძველ „ნორს ბენქზე“ ფეხზე სადგომ ადგილებზე ვიდექი და ვუყურებდი ალან დევონშირს, რეი სტიუარტს, ბილი ჯენინგსს და სხვებს. რა ვთქვა? პატივია ჩემთვის ამ ძველ და ნაღდ კლუბში მოხვედრა“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ბრაზილიელი ლიმა პენსიამდე მატარებლით იმგზავრებს



„ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა ვალერი ფილატოვმა ფრანსისკო ლიმა წარადგინა

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ „რომას“ ბრაზილიელი ფრანსისკო ლიმა გადაიბირა და 5-ნომრიანი მაისურა ჩააბარა. რუსებისთვის ეს სარფიანი გარიგება იყო, რაკი ლიმას „რომასთან“ კონტრაქტის ვადა გასული ჰქონდა და „ლოკომოტივში“ თავისუფალ აგენტად მივიდა.

ლიმამ ორი სეზონი გაატარა რომაულ კლუბში და სასტარტო შემადგენლობის ფეხბურთელიც იყო. ის 33 წლისაა და რუსებთან ორი წლით დარჩება, მერე კი, ალბათ, კარიერასაც დაასრულებს.

ბრაზილიელი კლუბმა გუშინ წარუდგინა ჟურნალისტებს და, როგორც წესია, საქებარი სიტყვები არ დაიშურა, ფეხბურთელმა კი ახალ კლუბს ერთგულება შეჰფიცა.

ლიმა გუშინვე შეუდგა ვარჯიშს.

**კოტე კეკელია**

# ლივერპულს ბომბარდირი არ სჭირდება


მილან ბაროშს ცუდი დრო დაუდგა, გუნდიდან აგდებენ

**ჩეხი** მილან ბაროში, მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ჩვეულებრივ ისე ხდება, რომ ბომბარდირზე ტაციობა იწყება, მისი კლუბი კი გაიძახის, ვერ შეველევითო.

ბაროშის შემთხვევაში ცოტა განსხვავებული ვითარებაა. მადრიდული „მარკა“ წერს, „ლივერპულში“ ბაროშის ახალ მწვრთნელს რაფა ბენიტესს 22 წლის ჩეხი ფორვარდი თვალში არ მოსდის, ოუენი, სისე და დიუფი მყავს, ბაროში რაღად მინდაო. ამავე წყაროს ცნობითვე, თავად ბაროში თურმე იხვეწება, არ გამიშვათო.

„ლივერპულის“ უფროსობა უკვე შეხმიანებია „ბარსელონას“ და ბაროში 20 მილიონ ევროდ შეუთავაზებია. „ბარსას“ ფასი ეძვირა, თუმცა გადაჭრითაც არ უთქვამს, ბაროში არ მჭირდებაო.

**კოტე კეკელია**

# არ მჯერა, რომ ძვირი ვღირვარ

## კარვალიუც რეალზე ოცნებობს

პორტუგალიელ რიკარდუ კარვალიუს მადრიდის „რეალში“ გადასვლა სურს, თუმც კარგად იცის, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადაბარგება მხოლოდ მის სურვილზე არაა დამოკიდებული. ესპანურ „მარკასთან“ ინტერვიუში ლუზიტანიელი მცველი სამეფო კლუბისადმი სიმპათიას არ მალავს...




— „რეალი“ თქვენით დაინტერესებულია...

— ვიცი და, მადრიდიდან სასიამოვნო ცნობებს ველი. ჩემი სურვილი ყველამ იცით, ახლა ყველაფერი „რეალზე“, „პორტუზე“ და ჩემს აგენტზეა დამოკიდებული.

— ღელავთ?

— არც ისე, იმედი მაქვს, ყველაფერი ჩემ სასიკეთოდ გადაწყდება.

— „პორტუს“ პრეზიდენტმა ნუნუ პინტუ და კოშტამ თქვა, კარვალიუ ხელშეუხებელია და „დრაგაუდან“ არ გავუშვებთო...

— მესმის მისი. „პორტუ“ ევროპული გრანდია და უფროსობაც ცდილობს, შემადგენლობა არ დასუსტდეს. პრეზიდენტი საუკეთესო გამოსავალს გუნდისთვის ეძებს, რიკარდუ კარვალიუ კი საკუთარი კარიერისთვის.

— ტრანსფერის დეტალებზე იცით რამე?

— მხოლოდ ის, რომ კლუბებს შორის საქმიანი კონტაქტებია, დანარჩენზე ვერაფერს გეტყვით...

— ამბობენ, კარვალიუს სატრანსფერო ფასი, სავარაუდოდ, 20-დან 30 მილიონ ევრომდეაო...

— ნუთუ ასეთი ძვირი ვარ? ეს, ხუმრობით. ისე კი, „პორტუს“ სრული უფლება აქვს, თავისი ფეხბურთელები სარფიანად გაყიდოს. ევროპაში რაც მოსაგები იყო, თითქმის ყველაფერი მოვიგეთ და ფინანსებიც შესაბამისია საჭირო. დარწმუნებული ვარ, ერთი წლის წინ რიკარდუ კარვალიუს სულ სხვა ფასი ექნებოდა.

— ევრო 2004-ის მერე „პორტუ“ რამდენიმე ფეხბურთელმა უკვე დატოვა. ეს თქვენ არ გაღელვებთ?

— „პორტუს“ ადრეც გაუყიდია წამყვანი ფეხბურთელები, მაგრამ ყოველთვის ძლიერ კლუბად დარჩენილა. კარვალიუ წავა თუ სხვა, „დრაკონი“ მუდამ ყველაფრის მოსაგებად იბრძოლებს. „პორტუს“ თავისი ხელწერა აქვს.

— რას ნიშნავს „რეალი“ რიკარდუ კარვალიუსთვის...

— ოცნების გუნდს, სადაც მხოლოდ საუკეთესოები თამაშობენ.

— წარმოიდგინეთ, უკვე „რეალის“ ფეხბურთელი ხართ და დაცვის ცენტრს არგენტინელ ვალტერ სამუელთან ერთად ამაგრებთ...

— არ მეშვებით?! მაშინ გეტყვით, რომ ესპანეთში ეს დუეტი ყველაზე ძლიერ მოიერიშეებსაც შებოჭავს. ცხადია, უმთავრესი გუნდური თამაშია, მაგრამ ცალკეული ფეხბურთელების კლასსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

— თქვენმა მეგობარმა კოშტინიამ ევროპის საუკეთესო ცენტრალურ მცველად დაგასახელათ..

— იმიტომაცაა ჩემი მეგობარი. თავის პოზიციაზე მეც მსოფლიოში საუკეთესოდ დავასახელებდი. ვინც „პორტუში“ ვართ, ყველამ დავამტკიცეთ, ევროპული ფეხბურთის გრანდებზე გამარჯვება რომ შეგვიძლია.

— საკუთარი თვისებებიდან რას გამოარჩევდით?

— ასე თქმა გამიჭირდება... ალბათ, უფრო სისწრაფეს, ბურთის რიგიანად ფლობას, თავით თამაშსა და კონცენტრირებას.

— ნუნუ პინტუ და კოშტას პირადად თუ ესაუბრეთ?

— კი, მაგრამ ახლა უფლება არ მაქვს, დეტალები გავამჟღავნო. დიდი ტრანსფერები რთული საქმეა, მოთმინებასა და სიფრთხილეს მოითხოვს.

# ფიორენტინა ძლიერდება


კრისტიანო ლუპატელიმ ფლორენციას გახედა

**სერია** A-დან გავარდნილმა „პერუჯამ“ დაადასტურა, რომ ახლადზევებულ „ფიორენტინას“ ნიგერიელი მცველი კრისტიან ობოდო მიჰყიდა.

„მართალია, გარკვეული დეტალები ჯერ კიდევ შესათანხმებელია, მაგრამ ამის გაუთვალისწინებლად საქმე, ფაქტობრივად, მოგვარებულია. რაც შეეხება დეტალებს, საქმე ეხება იმ ფეხბურთელების ზუსტად განსაზღვრას, რომლებსაც ამ საქმესთან დაკავშირებით გავცვლით“ — განაცხადა პერუჯელთა გენერალურმა დირექტორმა ალესანდრო გაუჩიმ.

კრისტიან ობოდოს ტრანსფერზე ასე ცალკე და საგანგებოდ იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ამ ნიგერიელი ყმაწვილის შეძენით, არც მეტი, არც ნაკლები, თვით „იუვენტუსი“ და „მილანი“ იყვნენ დაინტერესებულნი. საინტერესოა, რომ 20 წლის ფეხბურთელის ფასი დაახლოებით 4 მილიონი დოლარია.

საინტერესოა, ისიც, რომ „არტემიო ფრანკიზე“ ობოდოს შესაძლოა, „კიევოს“ ყოფილი მეკარე, 21 წლამდელთა ნაკრებში ნათამაშევი კრისტიანო ლუპატელიც დახვდეს თუ შეუერთდეს. ლუპატელის ახლახან დაუმთავრდა კონტრაქტი „რომასთან“ და, შესაბამისად, თავისუფალი აგენტია.

**პაპუნა ძიძია**

## რუსეთი

### პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

**სატურნი 0:0 შინიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 16 | 10 | 4 | 2 | 31:14 | 34 |
| ზენიტი | 16 | 10 | 3 | 3 | 32:21 | 33 |
| ლოკომოტივი | 15 | 8 | 4 | 3 | 21:11 | 28 |
| კრილია | 16 | 8 | 4 | 4 | 27:25 | 28 |
| ცსკა | 16 | 7 | 7 | 2 | 27:15 | 28 |
| სატურნი | 16 | 4 | 9 | 3 | 17:14 | 21 |
| ალანია | 15 | 5 | 4 | 6 | 16:19 | 19 |
| როსტოვი | 16 | 5 | 4 | 7 | 19:23 | 19 |
| რუბინი | 16 | 4 | 7 | 5 | 17:16 | 19 |
| ამკარი | 16 | 4 | 7 | 5 | 12:20 | 19 |
| შინიკი | 15 | 4 | 6 | 5 | 9:13 | 18 |
| მოსკოვი | 15 | 4 | 5 | 6 | 16:18 | 17 |
| დინამო | 16 | 3 | 7 | 6 | 16:19 | 16 |
| სპარტაკი | 14 | 4 | 3 | 7 | 22:26 | 15 |
| ყუბანი | 16 | 2 | 7 | 7 | 14:23 | 13 |
| როტორი | 16 | 1 | 3 | 12 | 15:34 | 6 |

## შვედეთი

### ალსვენსკა

გადადებული მატჩი

**იურგორდენი 0:2 მალმიო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 11 | 7 | 3 | 1 | 26:13 | 24 |
| მალმიო | 12 | 6 | 5 | 1 | 18:5 | 23 |
| ჰამარბი | 11 | 7 | 2 | 2 | 12:7 | 23 |
| კალმარი | 11 | 5 | 4 | 2 | 15:10 | 19 |
| გიოტებორგი | 11 | 5 | 3 | 3 | 11:6 | 18 |
| სუნდსვალი | 11 | 3 | 5 | 3 | 10:10 | 14 |
| იურგორდენი | 11 | 3 | 4 | 4 | 14:17 | 13 |
| იორგრიტე | 12 | 2 | 6 | 4 | 12:16 | 12 |
| ელფსბორგი | 11 | 3 | 3 | 5 | 8:15 | 12 |
| იორებრო | 11 | 3 | 3 | 5 | 12:21 | 12 |
| ლანდსკრონა | 11 | 2 | 4 | 5 | 12:16 | 10 |
| აიკ | 11 | 2 | 4 | 5 | 6:11 | 10 |
| ტრელებორგი | 11 | 2 | 3 | 6 | 7:13 | 9 |
| ჰელსინგბორგი | 11 | 1 | 5 | 5 | 14:17 | 8 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა

გადადებული მატჩი

**როვანიემი 2:2 ჰაამენლინა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 14 | 8 | 4 | 2 | 26:8 | 28 |
| ინტერი | 13 | 8 | 2 | 3 | 30:18 | 26 |
| ალიანსი | 13 | 7 | 3 | 3 | 18:14 | 24 |
| ტურკუ | 14 | 7 | 2 | 5 | 22:18 | 23 |
| ჰიკ | 14 | 5 | 7 | 2 | 23:15 | 22 |
| ტამპერე | 11 | 6 | 3 | 2 | 14:7 | 21 |
| კტპ | 13 | 5 | 4 | 4 | 18:16 | 19 |
| ტპ 47 | 12 | 5 | 3 | 4 | 17:13 | 18 |
| ლაჰტი | 14 | 3 | 8 | 3 | 16:18 | 17 |
| ჯაზი | 13 | 4 | 3 | 6 | 22:24 | 15 |
| მიუპა | 11 | 3 | 3 | 5 | 10:16 | 12 |
| როვანიემი | 14 | 2 | 3 | 9 | 14:32 | 9 |
| იარო | 12 | 2 | 1 | 9 | 12:27 | 7 |
| ჰამენლინა | 14 | 1 | 4 | 9 | 15:31 | 7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **17 ივლისი** | | | | | | |
| 21.30 | 182 | შაფჰაუზენი-ქსამაქსი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 21.30 | 183 | სტ.გალენი-იანგ ბოიზი | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 21.30 | 184 | გრასჰოპერი-ციურიხი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 21.30 | 186 | ბაზელი-აარაუ | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა. XII ტური** | | | | | | |
| | | **18 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 191 | ლანდსკრონა-ელფსბორგი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 20.00 | 192 | იორებრო-სუნდსვალი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| | | **19 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 193 | იორგრიტე-კალმარი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 21.00 | 194 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 22.00 | 195 | ჰამარბი-იურგორდენი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა. XIV ტური** | | | | | | |
| | | **18 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 198 | ვესტეროსი-ბოდენსი | 1,85 | 3,4 | 3,4 | 1,19 | 1,19 | 1,7 |
| 20.00 | 199 | ფალკენბერგი-ატვიდაბერგი | 2,8 | 3,2 | 2,25 | 1,49 | 1,24 | 1,32 |
| 20.00 | 200 | გაის-გეფლე | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |
| 20.00 | 201 | იოსტერსი-ენჩიოპინგი | 1,65 | 3,5 | 4,4 | 1,12 | 1,2 | 1,94 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი. XVII ტური** | | | | | | |
| | | **18 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 203 | ალესუნდი-სკეიდი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| 20.00 | 204 | ბრინი-ჰიოდი | 1,55 | 4,0 | 4,6 | 1,11 | 1,15 | 2,13 |
| 20.00 | 205 | ჰიონეფოსი-ჰორს გრენლანდი | 1,65 | 3,8 | 4,0 | 1,15 | 1,16 | 1,94 |
| 20.00 | 206 | კონგსვინგერი-სტრიომსგოდსეტი | 2,4 | 3,6 | 2,3 | 1,44 | 1,17 | 1,4 |
| 20.00 | 207 | მოსი-ჰაუგესუნდი | 1,75 | 3,8 | 3,4 | 1,19 | 1,15 | 1,79 |
| 20.00 | 208 | სანდეფიორდი-ტრომსდალენი | 1,15 | 6,0 | 10,0 | 1 | 1,03 | 3,75 |
| 20.00 | 209 | ვარდ ჰაუგესუნდი-რაუფოსი | 2,35 | 3,6 | 2,35 | 1,42 | 1,17 | 1,42 |
| 21.00 | 210 | სტარტი-მანდალი | 1,5 | 4,0 | 5,0 | 1,09 | 1,15 | 2,22 |
| | | **ირლანდია. პრემიერლიგა. XXI ტური** | | | | | | |
| | | **17 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 243 | დერი-შემროკი | 2,35 | 3,1 | 2,7 | 1,33 | 1,25 | 1,44 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 241 | შელბურნი-დროგედა | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| | | **რუსეთი. პრემიერლიგა. XVII ტური** | | | | | | |
| | | **17 ივლისი** | | | | | | |
| 15.00 | 249 | დინამო-ალანია | 1,9 | 3,0 | 3,8 | 1,16 | 1,26 | 1,67 |
| 15.00 | 250 | კრილია-ყუბანი | 1,3 | 4,2 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,86 |
| 15.00 | 252 | ტორპედო-ცსკა | 3,0 | 3,0 | 2,25 | 1,5 | 1,28 | 1,28 |
| 15.00 | 253 | ზენიტი-ლოკომოტივი | 2,4 | 2,9 | 2,8 | 1,31 | 1,29 | 1,42 |
| | | **18 ივლისი** | | | | | | |
| 15.00 | 254 | ამკარი-სატურნი | 2,45 | 2,9 | 2,7 | 1,32 | 1,28 | 1,39 |
| 15.00 | 255 | რუბინი-როტორი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| | | **ხორვატია. სუპერ თასი** | | | | | | |
| | | **17 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 307 | ჰაიდუკი-დინამო(ზ) | 2,35 | 3,0 | 2,8 | 1,31 | 1,27 | 1,44 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%


## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკის თასი 2004. ჯგუფური ეტაპი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 17 ივლისი | | | | | | |
| 02.00 | 041 | არგენტინა-პერუ | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 04.45 | 042 | კოლუმბია-კოსტა რიკა | 1,7 | 3,3 | 4,6 | 1,12 | 1,24 | 1,92 |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 24.00 | 047 | პარაგვაი-ურუგვაი | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| 05.00 | 048 | ბრაზილია-მექსიკა | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 17 ივლისი | | | | | | |
| 5041 | არგენტინა-პერუ | 2,6 | 2,0 | 3,8 | 1,13 | 1,54 | 1,31 |
| 5042 | კოლუმბია-კოსტა რიკა | 2,2 | 2,1 | 4,8 | 1,07 | 1,5 | 1,46 |
| | 18 ივლისი | | | | | | |
| 5047 | პარაგვაი-ურუგვაი | 3,1 | 2,0 | 3,2 | 1,21 | 1,57 | 1,23 |
| 5048 | ბრაზილია-მექსიკა | 2,6 | 2,0 | 3,8 | 1,13 | 1,54 | 1,31 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| | 17 ივლისი | | |
| 5441 | არგენტინა-პერუ | 1,8 | 2,0 |
| 5442 | კოლუმბია-კოსტა რიკა | 1.6 | 2,4 |
| | 18 ივლისი | | |
| 5447 | პარაგვაი-ურუგვაი | 1,9 | 1,9 |
| 5448 | ბრაზილია-მექსიკა | 1,8 | 2,0 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 17 ივლისი | | | | | | | | | |
| 5141 | არგენტინა-პერუ | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20.0 | 10,0 | 5,3 |
| 5142 | კოლუმბია-კოსტა რიკა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| | 18 ივლისი | | | | | | | | | |
| 5147 | პარაგვაი-ურუგვაი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5148 | ბრაზილია-მექსიკა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5.3 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| | 17 ივლისი | | | |
| 5541 | არგენტინა-პერუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | კოლუმბია-კოსტა რიკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | 18 ივლისი | | | |
| 5547 | პარაგვაი-ურუგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5548 | ბრაზილია-მექსიკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| | 17 ივლისი | | |
| 5341 | არგენტინა-პერუ | 1,65 | 1,95 |
| 5342 | კოლუმბია-კოსტა რიკა | 1,7 | 1,9 |
| | 18 ივლისი | | |
| 5347 | პარაგვაი-ურუგვაი | 1,65 | 1,95 |
| 5348 | ბრაზილია-მექსიკა | 1,65 | 1,95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| | 17 ივლისი | | |
| 5241 | არგენტინა-პერუ | 1,65 | 1,95 |
| 5242 | კოლუმბია-კოსტა რიკა | 1,65 | 1,95 |
| | 18 ივლისი | | |
| 5247 | პარაგვაი-ურუგვაი | 1,6 | 2,0 |
| 5248 | ბრაზილია-მექსიკა | 1,65 | 1,95 |


CROCO

BOOKMAKERS

კროკო

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება



# ნაკრებში ყველაზე სუსტი მე ვარ

## ბოისა თავმდაბლობს და გვაიმედებს

*მეხუთე წელია, ვლადიმერ ბოისა სლოვენიაშია გადასახლებული და სამშობლოში ზაფხულობით ორიოდ კვირით თუ შემოივლის ხოლმე. დრო თავისას აკეთებს და ვოვაც გაევროპელდა, ოღონდ ეს გარეგნულად, თორემ გულით ბოისა ისევ ის რუსთაველია, რაც „აზოტში" თამაშისას იყო – ცოტა ხნით, მაგრამ მაინც დგას ხოლმე ბირჟაზე, საქეიფოდაც დადის და ძმაბიჭებში დროსტარების გამოც არ დავიწყებია. ასეთი რამერუმეებით ვოვა იშვიათად ერთობა, ხოლო ყოველდღიური მის ცხოვრებაში ისევ და ისევ კალათბურთია – ეროვნულ ნაკრებში ვარჯიშობს და დრაჟენ ბრაიკოვიჩში ტიპიურ ბალკანელ მწვრთნელს ხედავს. გუშინ ბოისას რომ დავუკავშირდით, „ლაგუნა ვერეზე" ძმა ტოლიკასთან ერთად ისვენებდა...*

— ძალიან მაგარი სიცხეა, აქ ცოტას ვგრილდები და ვერთობი კიდეც. ჩემი ძმა მყავს გვერდში, მალე ირაკლი კეიდიაც მოვა და თან ვილაპარაკებთ, თან „ზაგარსაც" მივიღებთ.

**— აქეთ აუზიო, იქით ნაკრების ვარჯიშებიო, გამოდის, მთელ დროს თბილისში ატარებ. მშობლიურ რუსთავში როდისღა ხარ?**

— რატომ, რუსთავშიც ხშირად ვარ, იქაურ ძმაკაცებთან ერთად.

**— რომლებიც წელიწადია, არ გინახავს...**

— ჰო, სამწუხაროდ, ეგრეა, რუსთავში წელიწადში ერთხელ ვახერხებ ჩამოსვლას. სლოვენიას აქამდე სპორტული კარიერის გამო ვერ ვტოვებდი, დიდი ხნით, ახლა კი ლიუბლიანაში ოჯახიც მყავს და ალბათ კიდევ უფრო იშვიათად ჩამოვალ. სამაგიეროდ, რუსთავში მცირე დროით ყოფნაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ძმაკაცებს, ახლობლებს, უბრალო რუსთაველებს რომ ვხედავ, ძველი დრო მახსენდება, როცა მეც მათთან ერთად ვიყავი და მათსავით ვიქცეოდი.

**— როგორ შეგხვდნენ რუსთაველები?**

— ვისაც ვუყვარვარ და ვინც მე მიყვარს, ყველა დამხვდა. ზოგი აეროპორტში, ზოგიც უბანში. ჩამოსვლის ღამესვე ძმაკაცებმა საქეიფოდ წამიყვანეს.

**— დიდი ხანია, სლოვენიაში ცხოვრობ და ხომ არ გეუცხოვა აქაური ქეიფობანი?**

— სულაც არა. ერთი, რასაც თავიდანვე ვერ შევეგუე, აქაური კერძებია. პირველი ორი დღე ხინკალი და ხაჭაპური ვერ შევჭამე, მაპატიე და, ფალარათი დამემართა, თუმც ამას უკვე შეგუებული ვარ, საქართველოში რომ ჩამოვდივარ, პირველი ორი დღე გამოწერილივითა მაქვს. მხოლოდ მწვადი შევჭამე, მაინც ხორცია ცარიელი. სხვა მხრივ კი არავითარი პრობლემა არ შემქმნია, გვიანობამდე ვრჩებოდი სუფრაზე — ვსვამდით, ვმღეროდით, ანეგდოტებს ვყვებოდით, ვლაღობდით, ვერთობოდით რა...

**— შენს აღმზრდელ გუნდში თუ მიხვედი?**

— არავინ მინახავს, რამაზ გოგობერიშვილისა და ლევან ჯიმშელეიშვილის გარდა. ნახვა რად უნდა, ვიცი, რომ ჩვენი ქალაქის გუნდი უპატრონოდაა, სპონსორები წავიდნენ, ქარხანა კი არ ვიცი, რას აპირებს. ახლა ისეთი დროა, ბევრს უჭირს. „ბასკოც" ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა „აზოტივით". არადა, ამ გუნდებს ცოტა ხნის წინ ქართულ კალათბურთში ვერავინ სჯობდა. „ბასკო" წლეულსაც გახდა ჩემპიონი, მაგრამ რა მერე... იმედი მაქვს, ყველაფერი მალე გამოსწორდება, აქამდე თუ უნდოდათ კალათბურთი რუსთაველებს და ბათუმელებს, ახლა რატომ უნდა თქვან უარი?!

**— ნაკრების ვარჯიშებზე თუ დადიხარ?**

— არ ვაცდენ, ყოველდღიურად დიდი მონდომებით ვვარჯიშობ.

**— რას იტყვი ჩვენი ნაკრების მომზადების დონეზე?**

— ბრწყინვალე ფორმაშია ყველა. მგონი, ყველაზე სუსტად მე გამოვიყურები. აქ ჩამოსვლამდე სამი კვირა ბურთისთვის ხელი არ დამიკარებია, გადატვირთული სეზონის შემდეგ სლოვენიაში ვისვენებდი.

**— დრაჟენ ბრაიკოვიჩის ვარჯიშებზე რას იტყვი?**

— ბრაიკოვიჩი ხომ ხორვატია და მისი ვარჯიშიც ტიპიური ბალკანურია, ძალიან წააგავს „ოლიმპიის" ვარჯიშებს, დისციპლინაც ბალკანურ დონეზეა. კარგა ხანია, ნაკრების წევრი ვარ და ასეთი ვარჯიშები ჯერ არ გვქონია. ახლა უფრო მეტი და დახვეწილი კომბინაციებია, ვიდრე აქამდე იყო, დისციპლინასაც ვერ შეადრი ძველებურს. ახლა გაცილებით მოწესრიგებულია ყველაფერი.

**— საქართველოში დიდხანს დარჩები?**

— არა, ნაკრები რომ 20 ივლისს იტალიაში წავა, უკან აღარ გამოვყვები, პირდაპირ სლოვენიაში ჩავალ.

**— იტალია ახსენე და რამდენად სრული შემადგენლობით მიდიხართ?**

— ნაცვლიშვილი ფილტვზე გადატანილი ოპერაციის გამო კიდევ კარგა ხანს ვერ დაგვეხმარება და მგონი, იტალიაში არც სტეფანია და ცქიტიშვილი ჩამოვლენ. არ ვიცი, მოლაპარაკება ჯერაც მიმდინარეობსო „დენვერთან", ამბობენ და ვნახოთ, ეგებ „ცქიტო" მაინც შემოგვიერთდეს.

**— ფაჩულია უეჭველად ჩამოდის?**

— კი, ფაჩულიაცა და შემონდ უილიამსიც. ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია. ნაკრების ამერიკელი კანდიდატი იტალიაში შემოგვიერთდება.

**— შენ კარგად იცნობ ევროსაკვალიფიკაციოზე ჩვენი მთავარი მეტოქის მაკედონიის უკანახაზელებს — ვლადო ილიევსკისა და ვრბიცა სტეფანოვს. უილიამსის შემატებით გადავჭრით უკანა ხაზში შექმნილ პრობლემას?**

— ილიევსკისა და სტეფანოვს კარგად კი ვიცნობ, მაგრამ უილიამსი არ ვიცი ვინაა. რაც გინდა იყოს, ნბა-ს მოთამაშეა და პრობლემასაც მოგვიგვარებს. ჩვენს ნაკრებში ამბობენ, მაკედონიის მთელს უკანა ხაზს მარტო უილიამსი გადასწონისო. თუ ის საბოლოოდ შემოგვიერთდება, საკვალიფიკაციოს უპრობლემოდ გავივლით.

**ირაკლი პერტაია**

# კარგი თამაში ცუდი ჩვევაა?

## ნიკა ცქიტიშვილი ზაფხულობით ვარსკვლავობს



**ცუდი ჩვეულება** უყალიბდება ნიკოლოზ ცქიტიშვილს — საზაფხულო ლიგებზე დაფრინავს, ლას ვეგასისა თუ ლონგ ბიჩის კემპებზე ბომბარდირი და სიმბოლური ნაკრების წევრი ხდება, მაგრამ მოაკაკუნებს ახალი სეზონი და ქართველ ფორვარდს სკამი ელის.

ასე იყო შარშან, როცა „ცქიტომ" კალიფორნიულ საზაფხულო ლიგებზე მატჩში 20 ქულაზე ნაკლები არ ჩააგდო, მაგრამ ჯეფ ბზდელიკი მას მაინც არ ენდო და გასულ სეზონში მხოლოდ 39 მატჩში გაიყვანა მოედანზე.

და აი, მოვიდა საზაფხულო ლიგების დრო და კვლავ ათამაშდა ცქიტიშვილი. ლას ვეგასის კემპზე, იგივე ოთხთა ტურნირზე, ქართველმა ფორვარდმა მეორე მატჩიც დიდებულად ჩაატარა და ზაზა ფაჩულიას ყოფილ გუნდ „ორლანდოს" 26 ქულა ჩაუგდო. თუმც, „ბოსტონთან" წინა მატჩისა არ იყოს, რომელშიც ქართველმა 27 ქულა მოიმკა, გამარჯვებას ეს არ ეყო და „დენვერი" 105:110 დამარცხდა.

ცქიტიშვილი 26 ქულით ბომბარდირი კი გახდა, მაგრამ მას მცირე სიზუსტეც რომ გამოეჩინა, მატჩს გმირად დაასრულებდა. „ნაგიტსი" უკანასკნელი მეოთხედის წინ 76:91 აგებდა და თითქოს ყველაფერიც გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ ქართველმა ფორვარდმა ბოლო 12-წუთეულში 13 ქულა ჩააგდო და სირენამდე 15 წამით ადრე გადამწყვეტი სამქულიანიც ესროლა, მაგრამ... ამ სროლამდე 6 ქულით ჩამორჩენილი „დენვერი" ცქიტიშვილმა ზუსტი სამქულიანით 105:108 მიაახლოვა „ორლანდოს", მაგრამ საოვერტაიმო სამიანი აუცდა და მისი გუნდიც მეორედ დამარცხდა ლას ვეგასში.

„ცქიტო" ბარაქიანად კი ირჯება, მაგრამ ისიც ხომ უნდა ვთქვათ, ვის წინააღმდეგ უწევს თამაში. თავის გუნდში ნიკას ერთი ფრანცისკო ელსონი ჰყავს ასე თუ ისე ნაცნობი კალათბურთელი, ვინაც „ორლანდოსთან" ქართველზე ქულით ნაკლები — 25 ქულა ჩააგდო. „ორლანდოშიც" ორი კაცი თამაშობდა ძირითადი შემადგენლობიდან — კიტ ბოგანსი და ბროტონ იონსენი.

მატჩს ესწრებოდა „დენვერის" სატრანსფერო სამიზნე კენიონ მარტინი, ვისაც „ნაგიტსმა" უკვე შესთავაზა 82,3 მილიონი ექვს წელიწადში.

დენვერი დღეს „ფინიქს სანსს" ხვდება...

**ირაკლი პერტაია**



# მთა გადაგორდა

## შაკილ ონილი მაიამელია

„მე გადავაქცევ მაიამის მედიის მესად" — თქვა შაკილ ონილმა და „ლეიკერსის" 32-ნომრიანი ყვითელი მაისურა კლუბის ადმინისტრაციას გადასცა, რათა გარკვეული დროის შემდეგ მათ ის „სტეიპლზ სენთერის" ჭერზე გამოკიდონ.

და თვალუწვდენელი ქვეყნის ერთი კიდიდან შაკი მეორე კიდეზე წავიდა სათამაშოდ. რაც ვერ შეძლო ბევრი კლუბის უფროსმა, ის მოახერხა ნბა-ში დაბერებულმა „მაიამის" პრეზიდენტმა პატ რაილიმ, ვინაც ყველასთვის სანატრელი ფარქვეშა მასა, სახელად შაკილ ონილი თავის გუნდში მიიყვანა და ახლა, რაღა საკამათოა, ჩემპიონობაზეც გაიწევს.

მაგრამ ონილის გადაბირება მაიამელებს საკმაოდ ძვირი დაუჯდათ. „ჰითი" შეელია გუნდის ხერხემალს — ლამარ ოდომს, კერონ ბატლერსა და ბრაიან გრანტს. თუმც რაილის გუნდში კიდევ დარჩა ერთი-ორი მარდი ბიჭი, რომლებიც თუ ყოჩაღად ამოუდგებიან მთაშაკს გვერდში, ნებისმიერი ბარიერის გადალახვა ხელეწიფებათ.

მოწინავე ტრიოს გაშვებით გამოწვეულ ზარალთან ერთად „მაიამის" ონილის საკონტრაქტო თანხაც მძიმედ დააწვება. შაკს „ჰითში" ლეიკერსული კონტრაქტი გაჰყვა და მომავალ სეზონში 27,7-ს, ხოლო იმის შემდეგ 30,6 მილიონს ჩაიჯიბავს „მაიამის" სალაროებიდან.

მიუხედავად ზონზროხა შაკისთვის გადასახდელი ფულისა, მაიამიში მაინც ზეიმობენ და ზოგიერთი პირტიტველა, თუნდაც დუეინ ვეიდი, ვერც კი იჯერებს რომ ლიგის უჯალათესი ცენტრის გვერდში ითამაშებს.

რაილიმ კი თქვა: „ჩვენ ვიცით, რომ ლიგის უძლიერესი მოთამაშე შევიმატეთ და მთავარიც მხოლოდ ეს იყო ამ ეტაპზე."

მაშ ასე, შაკილ ონილი დაბრუნდა იქ, საიდანაც დაიწყო თავისი ბრწყინვალე კარიერა. ანუ მთაკაცი დაბრუნდა ფლორიდაში, ორლანდოსთან ახლოს მდებარე კურორტქალაქ მაიამიში, სადაც 1992 წელს „ჯადოქრული" მაისურით ნბა-ს ახალი, შაკილ ონილის ეპოქა დაიწყო.

**ირაკლი პერტაია**



ირაკლი ლაბაძე



ირაკლი უშანგიშვილი



ლადო ჩიხლაძე



დავით კვერნაძე

# ბიჭებო ვართ და დავხვდებით!
## ეგვიპტემ წარსულში არ უნდა დაგვაბრუნოს

*დღეიდან ზეგამდე ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემია ქართველ და ეგვიპტელ ვაჟ ჩოგბურთელთა დაპირისპირებას უმასპინძლებს. დევისის თასის მეორე ევროაფრიკულ ჯგუფში შარშან აღზევებული ჩვენი ნაკრები ახლა იქ ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. ეგვიპტელთა ძლევის შემთხვევაში ამოცანა შესრულებული იქნება. პირველ ჯგუფში გადასვლის შანსი კი, გემახსოვრებათ, იტალიაში 2:3 მარცხით დავკარგეთ.*

საქართველოს ნაკრები გელა ელერდაშვილის კაპიტნობით უძლიერესი შემადგენლობით შეიკრიბა და ბოლო ერთი კვირა თბილისში ივარჯიშა. გუშინდელი ვარჯიში კი ოთხეულიდან სამმა დაიწყო. წლის დავით კვერნაძემ და 19 წლის ლადო ჩიხლაძემ ერთ კორტზე გადააჯვარედინეს ჩოგნები. ირაკლი უშანგიშვილს კი სპარინგობა სადევისო განაცხადში არმყოფმა, ავსტრიაში მცხოვრებმა და თბილისში დასასვენებლად ჩამოსულმა ირაკლი ახვლედიანმა გაუწია.

ვარჯიში დასასრულს უახლოვდებოდა, გუნდის ლიდერი ირაკლი ლაბაძე კი არსად სჩანდა. ელერდაშვილისგან შევიტყვეთ, რომ იგი ბიჭებს საათნახევრით გვიან შეუერთდებოდა. კაპიტნის სიტყვა ლამის წამების სიზუსტით შესრულდა. ლაბაძე ზუსტად ხუთის ნახევარზე გამოჩნდა და უმალვე სპორტული ფორმა მოირგო. მცირე გახურების შემდეგ ნაკრების მეორე ნომერ უშანგიშვილთან ითამაშა, თუმც ნაკრების ლიდერი კაპიტანს დიდად აღარ დაუტვირთავს. დაგვიანების მიზეზი დილის ვარჯიშზე მიღებული ტრავმა ყოფილა და ირაკლის აკადემიაში მისვლამდე ნემსის გაკეთებაც მოუსწრია.

— ჯერ ზუსტად არც კი ვიცი, რა ტრავმაა. მარჯვენა მაჯა მაწუხებს. წლების წინ მოტეხილი მქონდა, თუმც ერთთვიანი მკურნალობით მოვირჩინე და თითქმის ხუთი წელი აღარ შეუხსენებია თავი. ამ დილით უცებ ამტკივდა, ნემსი გავიკეთე და ცოტა მომეშვა. იმედია, ხვალ ყველაფერი რიგზე იქნება.

— ბოლო ვარჯიშის დროსაც გრძნობდი ტკივილს?

— ცოტათი წამომტკივდა. ხელის კი ნამდვილად მიშლის, მარჯვენიდან ხეირიანად ველარ ვარტყამ. მარჯვნივ წამოსულ ბურთებს ალბათ მხოლოდ მოჭრილებით მივიღებ და მოგერიებაზელა ვიფიქრებ.

— როგორ გგონია, ადვილად მოვუგებთ ეგვიპტელებს?

— მეეჭვება, ადვილად ვძლიოთ. ალბათ სერიოზულ წინააღმდეგობას გაგვიწევენ.

— წყვილებშიც აპირებ თამაშს?

— თუ პირველ დღეს ორივე თამაში მოვიგეთ, მაშინ ალბათ წყვილებში დავისვენებ.

ქართველების შემდეგ კორტი სტუმრებმა დაიკავეს და გულიანადაც ივარჯიშეს. ეგვიპტელები ოთხი დღეა, თბილისში არიან და მანამდეც არაერთხელ მოასწრეს, აკადემიის კორტებზე ჩოგნაობა. მათი პირველი ნომერი ქარიმ მამუნი საერთაშორისო კლასიფიკაციაში 662-ეა და ჩვენს პირველს, ირაკლი ლაბაძეს გვარიანად 580 საფეხურით ჩამორჩება. მეორე მაამუნი, სახელად მუჰამედი, რვაასეულში ტრიალებს უშანგიშვილთან ერთად. დანარჩენები, კი ეგვიპტელებიც და ქართველებიც, ათასს მიღმა არიან.

დღეს პირველ თამაშს უშანგიშვილი და ქარიმ მაამუნი ჩაატარებენ. იგი თორმეტზე დაიწყება, დასრულების შემდეგ კი ლაბაძე და მუჰამედი იჩოგნავებენ.

ბოლოს მთავარზე: ჩოგბურთის მოყვარულებს ხუთივე თამაშის ცოცხლად ცქერა თითქმის ყოველგვარი ხარჯის გაწევის გარეშე შეეძლებათ. ეს „თითქმის“ მგზავრობის ფულია, აკადემიის ტრიბუნაზე მოხვედრას ბილეთი არ სჭირდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



გელა ელერდაშვილი



*ეგვიპტელები აკადემიას თავიანთ ვარჯიშამდე რამდენიმე საათით ადრე ესტუმრნენ და თვალი მომავალ მეტოქეებსაც შეავლეს. მერე ლაბაძეს რაღაცაზე თბილადაც ელაპარაკნენ და ჩვენთვისაც მოიცალეს. კაპიტანმა ქარიმ ბალიმ ხალისიანად გვიპასუხა რამდენიმე კითხვაზე:*

## თქვენ გყავთ ლაბაძე, ჩვენ მაამუნები

— გადაწყვიტეთ, ვინ ითამაშებს ხვალინდელ მატჩებში?

— ხვალ ქარიმ და მუჰამედ მაამუნები ითამაშებენ, ჩვენი გუნდის პირველი და მეორე ნომრები.

— შემთხვევით ძმები ხომ არ არიან, თუ უბრალოდ მოგვარეები?

— ბიძაშვილები.

— რამდენი ხანია, რაც საქართველოში ვარჯიშობთ?

— ორშაბათს დილით ჩამოვფრინდით, იმავე დღეს უკვე ვივარჯიშეთ და ასე ვაგრძელებთ, დღე არ გამოგვიტოვებია.

— ყველა გუნდს მოგების იმედი აქვს, მაგრამ ობიექტურად როგორ შეაფასებდით თქვენს შანსებს?

— თქვენ უმაღლესი კლასის ჩოგბურთელი, ირაკლი ლაბაძე გყავთ, ვფიქრობ, მასთან მოგების ძალიან მცირე შანსები გვაქვს, დანარჩენ სამ მატჩში კი თქვენი ძლევის ძალა შეგვწევს. ასე რომ, ვნახოთ...

— სავარჯიშო და საყოფაცხოვრებო პირობები თუ გაკმაყოფილებთ?

— სრულიად, აკადემია ყველა საჭირო პირობას გვიქმნის. ხალხიც მშვენივრადაა ჩვენდამი განწყობილი და აქ ყოფნა ძალიანაც გვსიამოვნებს.

**ლადო ფულუკიძე**



## ჩოგბურთი



# ვინუსმა კი ფქვასო

**BANK OF THE WEST CLASSIC**
სტენფორდი. ჰარდი
საპრიზო 585 ათასი $

**მეორე წრე**

**ვინუს უილიამსი (1, აშშ) — ლინდსი ლი-უოტერსი (აშშ) 6:1, 6:1; ანა სმაშნოვა-პისტოლეზი (5, ისრაელი) — არანჩა პარა სანტონია (ესპანეთი) 3:6, 7:5, 6:2; მარია ვენტო-კაბჩი (8, ვენესუელა) — ანკა ბარნა (გერმანია) 6:2, 6:2; მაშონა ვაშინგტონი (აშშ) — მარისა ირვინი (აშშ) 6:1, 3:6, 6:3**

ვინუს უილიამსი უიმბლდონობის მეორე წრეში ხორვატ გოგოცუნა კაროლინა სპრემთან რომ დამარცხდა, ეს ლონდონური სეფეკონიდრიდან მისი ყველაზენაადრევი გავარდნა გახლდათ. ცხადია, ამგვარ გაიმასქნებას სერენას უფროსი დაიკოს გულში ლონიერი ბოლმა უნდა დაეგუბებინა და შეკადნიერებული საქალეთისთვის სამაგიეროს მიგების მძლავრი სურვილი უნდა გაეჩინა. ვინუსმაც მდუღარე ემოციები საჭირო კალაპოტში მიუშვა და თავისი ჩოგანი დოლაბივით დაატრიალებინა. იმ დღეს ამ დოლაბმა ამერიკელი ლინსდი ლი-უოტერსი დაფქვა, თანაც სულ რაღაც 51 წუთში, და შენელებას არც მომდევნო ტურებში აპირებს. სხვა თუ არაფერი, ვინუსი ტურნირის ორგზის (2000, 2002) ჩემპიონია, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მაჯანაოპერაციევი კიმ კლაისტერსი შარშან იქ მოგებული ტიტულის დაცვას ვერ ახერხებს, მამა რიჩის გოგოს ჰეთთრიქის მისათვლელად ჩოგანი ბევრმა ვერ უნდა შეუშალოს.

**MERCEDES-BENZ CUP**
ლოს ანჯელესი. ჰარდი
საპრიზო 380 ათასი $

**მეორე წრე**

**მარდი ფიში (3, აშშ) — ჟილ ელსნეერი (ბელგია) 6:3, 3:6, 6:3; გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 3:6, 6:3, 7:6 (7:2)**

წინა კვირაში ნიუპორტულ ბალახზე ნაჩემპიონარმა გრეგ რუზეცკიმ ლოსანჯელესურ მაგარსაფარზე გადაინაცვლა და წარმატებული ჩოგნაობა ახლა იქ განაგრძო. პირველ წრეში მან მეშვიდე ნომრად განთესილი ტაილორ დენტი დაიმორჩილა, მეოთხედფინალში გასასვლელად კი მძიმე ბრძოლის შედეგად კაროლ ბეკს მოუგო. ათვლას თუ სწორედ ნიუპორტიდან დავიწყებთ, 31 წლის კუნძულელისთვის ეს უკვე ზედიზედ მეშვიდე გამარჯვებაა და ამდენმოგებიანი სერია კი მას 2002 წლის ზაფხულის შემდეგ აღარ ჰქონია.

**MERCEDES CUP**
შტუტგარტი. თიხნარი
საპრიზო 615 ათასი €

**მეორე წრე**

**რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) — რაინერ შუტლერი (1, გერმანია) 6:7 (6:8), 6:3, 6:2; ხუან იგნასიო ჩელა (3, არგენტინა) — იან ფროდე ანდერსენი (ნორვეგია) 6:3, 6:1; ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) — ტიერი ასიონი (საფრანგეთი) 6:2, 6:4; მარიანო საბალეტა (8, არგენტინა) — მარკ ლოპესი (ესპანეთი) 7:6 (7:2), 6:2; მიხაილ იუჟნი (10, რუსეთი) — ალექსანდრ პოპი (გერმანია) 6:3, 7:6 (9:7); ალბერტ კოსტა (12, ესპანეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 7:5, 6:4; ივო კარლოვიჩი (13, ხორვატია) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:3, 7:6 (7:0); რაფაელ ნადალი (14, ესპანეთი) — მარტინ ვასალო არგელო (იტალია) 7:6 (7:4), 6:4**

რაინერ შუტლერს კაცთა ამქრის ზეათეულში ადგილი კი უპყრია, მაგრამ 21 საამსეზონო გამარჯვების წილ უკვე 19 დამარცხებას მოიძევს. თანაც ჩეხმა რადეკ შტეპანეკმა რომ შტუტგარტობის პირველივე წრიდან დაიქნია, ეს წლეულს მისი უკვე მეათე საპირველწრეო დამარცხებაა.

არადა, წინა კვირაში მან გშტაადურ ნახევარფინალს უწია და მოსალოდნელი იყო, რომ ნაკლებს არც სამშობლოში დასჯერდებოდა, ეგ მით უფრო, რომ შარშანდელი ჩემპიონის, გილერმო კორიას არყოფნაში იქ სეფეჩოგანს აქნევდა.

მაგრამ არ გამოვიდა. შტეპანეკმა წაგებული სეტის შემდეგ გადაჯგუფება და ორი სეტის მიჯრით მოგება შეძლო და ახლა შუტლერს საკარიეროდ უკვე 4:2 უგებს.

**THE PRIORITY TELECOM OPEN**
ამერსფორტი. თიხნარი
საპრიზო 375 ათასი €

**მეორე წრე**

**ფერნანდო გონსალესი (2, ჩილე) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 7:5, 6:3; იგორ ანდრეევი (6, რუსეთი) — კრისტოფ როხუსი (ბელგია) 4:6, 6:2, 6:1**

დაბადებიდან 21-ე წლისთავი მსწრაფლამომავალმა რუსმა ვარსკვლავმა იგორ ანდრეევმა ამერსფორტული ტურნირის მეოთხედფინალში გასვლით აღნიშნა. ეს ნიჭიერი სკვითი ყმაწვილი ჩვენი თვალთახედვის არეში წლევანდელი როლანგაროსობის შემდეგ მოექცა, რომლის მეორე წრეშიც შარშანდელ ჩემპიონ ხუან კარლოს ფერეროს სძლია. მერე ამ ბიჭმა რიგიანად იბალახა, წინა კვირაში გშტაადურ ფინალამდეც იომა და ახლა ერთი მოგებაღა აკლია, წლეულს უკვე ოცი გამარჯვება რომ დაიგროვოს. არადა, წლევანდლამდე მას მხოლოდ ოთხ საეტაპო მატჩში ემარჯვა და საერთოდაც არაფრით გამორჩეულიყო.

**ლევან ძილაურაძე**

## ცურვა

# ზანგი ამერიკაშიც გამოჩნდა

**ლონგ ბიჩში** ამერიკელ მოცურავეთა ეროვნულ ჩემპიონატში, რომელიც ოლიმპიური თამაშებისთვის იქაურ მოცურავეთა შესარჩევი შეჯიბრებაა, თავი გამოიჩინა 22 წლის მარიცა კორეიამ. მან 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მეოთხე შედეგი აჩვენა. მართალია, ოლიმპიურ საგზურს პირველ-ორ ადგილზე გასული სპორტსმენები ღებულობენ, მაგრამ მარიცია მაინც მოხვდება ამერიკელთა ნაკრებში 4X100 მეტრზე საესტაფეტო გუნდში. ყოველივე ამისთვის იქნებ ყურადღება არავის მიექცია, რომ არა ერთი გარემოება: მარიცა კორეია შავკანიანია.

შავკანიანები ამერიკის მოცურავეთა ნაკრებში აქამდე არასდროს ყოფილან. თუმცა, იყო ერთი აფროამერიკელი ენტონი ირვინი, რომელმაც სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე 50 მეტრზე თავისუფალი სტილით იასპარეზა და თანაგუნდელ გერი ჰოლმთან ოქროს მედალი გაიყო.

და მაინც, ენტონი ირვინი არც მთლად ისე შავი იყო. დედა თეთრკანიანი ჰყავდა, ხოლო მამას ზანგური სისხლი 75 პროცენტით ჰქონია.

ამიტომაც კორეია ერთი-ორად გახარებულია და ამბობს, მე ბედნიერებისგან შოკში ვარ, ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრა ჩემთვის უდიდესი პატივიაო.

საინტერესოა, რომ კორეიას მშობლები პუერტო რიკოდან არიან ემიგრირებულნი. ამიტომ ამ მოცურავეს შეეძლო პუერტო რიკოს ნაკრებში გაცილებით იოლად მოხვედრილიყო, სადაც იგი გუნდში პირველ ნომრადაც შევიდოდა, მაგრამ მან ამერიკის ოლიმპიურ ნაკრებში მოსახვედრად მძიმე ბრძოლის გადატანა ამჯობინა.



მარიცა კორეია

ჯორჯიის უნივერსიტეტის მწვრთნელი ჯეკ ბაუერი, რომელიც ამავე სასწავლებელში კორეიას ავარჯიშებს, ირწმუნება, რომ ჩემი აღსაზრდელი განსაკუთრებით ძლიერი სწორედ ესტაფეტაშია, სადაც გუნდური მებრძოლის თვისებებს ავლენსო. ამის დასამტკიცებლად იგი იხსენებს 2001 წელს გამართულ საუნივერსიტეტო პირველობას, სადაც კორეიამ ესტაფეტაში ბოლო ეტაპზე მაშინ აიღო სტარტი, როცა თანაგუნდელები მთელი კორპუსით აგებდნენ. მიუხედავად ამისა, იგი პირველი მივიდა ფინიშთან და თანაგუნდელებს გაამარჯვებინა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## ჰოკეი

# ხანძარი გემზე
## რუსები ამერიკულ ლოკაუტს სამშობლოში გაურბიან



ალექს კოროლიუკი

**სანამ** ჩრდილოეთ ამერიკაში ლოკაუტთან დაკავშირებული ციებ-ცხელებაა, ნჰლ-ის მოთამაშეები ყველანაირად ცდილობენ, თავს უშველონ. უკვე იცით ახალი ლიგის, ვჰა-ს გეგმები, თუმც ის უფრო აშშ-სა და კანადის ჰოკეისტებს აინტერესებთ, ევროპელები კი სამშობლოში ეძებენ სამუშაოს და, როგორც ჩანს, ყველაზე მეტი მოთხოვნილება რუსეთზე იქნება.

რუსეთის სუპერლიგა ფინანსური შესაძლებლობებით ყველაზე მძლავრია ევროპაში და ბუნებრივია, რომ ბევრ ნჰლ-ელ ლეგიონერს განსაკუთრებით რუსებს ყველაზე მეტად იქ სურთ თამაში. დღესდღეობით უკვე ოცამდე(!) რუსმა ლეგიონერმა მოახერხა დროებითი კონტრაქტის გაფორმება, ანუ მანამდე, სანამ ნჰლ-ში სეზონი დაიწყება. მათ შორის ისეთი ცნობილი ჰოკეისტებიც არიან, როგორიც დეტროიტელი პაველ დაციუკი (მოსკოვი „დინამოში“ ითამაშებს) და გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი მცველი სერგეი გონჩარია (ტოლიატის „ლადა“). ოთხმა მოთამაშემ კი სრულყოფილი, ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მთელ 2004-05 წლების სეზონს რუსეთში გაატარებს. მათ შორისაა ლიტველი დაინიუს ზუბრუსი, რომელმაც „ვაშინგტონს“ „ლადა“ არჩია. სხვათა შორის, იგი რუსეთის ნაკრების ღირსებას დაიცავს მსოფლიოს თასზე.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ეგებ ზოგიერთ ნჰლ-ელს გაუჭირდეს კიდეც კლუბის მოძებნა. მაგალითად, სანხოსელი კოროლიუკი ერთ-ერთი საუკეთესო იყო თავის გუნდში პლეი ოფის დროს, ამიტომ სამშობლოში იმ რწმენით ჩავიდა, რომ უამრავ წინადადებას მიიღებდა, მაგრამ დედა რუსეთმა ცივად მიიღო. „როგორც სხვა ბევრ მოთამაშეს, მეც მინდოდა ყოველთვიური კონტრაქტის გაფორმება. შესაბამისად, ხელფასსაც ყოველთვიურად ავიღებდი, მაგრამ კლუბები თავს იკავებენ. ნუთუ მათ თუნდაც რამდენიმე თვით არ სჭირდებათ ძლიერი მოთამაშე“ — გაოგნებულია კოროლიუკი.

ამ დროს დიდი მითქმა-მოთქმაა რამდენიმე არარუსი ვარსკვლავის გადაბირებაზე. მაგალითად, დღემდე არაა გამორიცხული იარომირ იაგრის ცსკა-ში თამაშის ვარიანტი, ხოლო ბოსტონის ერთ-ერთმა რადიოსადგურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ რომელიღაც რუსული კლუბი „მონრეალის“ მეკარე ჟოზე თეოდორს ეპატიჟება. და იცით რამდენს სთავაზობენ „წმინდა ჟოზეს“? არც მეტი, არც ნაკლები — 3 მილიონ დოლარს.

**სამველ ღარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რაო, ჰაკინენი ბრუნდებაო?

## მაქსი მიდის, მიკა მოდის



მიკა ჰაკინენი ფორმულის შემდეგ ერთი-ორჯერ რალით გაერთო



საპენსიო პრეზიდენტი მაქს მოსლი მემკვიდრეს ეძებს

**საკმარისი იყო**, ფორმულა 1-ის ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი მიკა ჰაკინენი ამ დღეებში სილვერსტოუნის ავტოდრომზე დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის გათამაშებისას გამოჩენილიყო, რომ მაშინვე ხმა გავარდა, ეტყობა, რბოლებს უბრუნდებაო.

არადა, თუნდაც ორიოდე თვის წინ დარიგებულ ინტერვიუებში 35 წლის პენსიონერი ფინელი კატეგორიულად უარყოფდა საფორმულო ტრასებზე დაბრუნებას.

ახლა კი, რადგან თავად მიკა ვერ მოიხელთეს, ცხადია, ყველა კომენტარისთვის მის მაშინდელ მაკლარენელ შეფ-მეგობარ რონ დენისს მიადგა. იმანაც გულდას პირი მოხსნა: „სადღეისოდ არავინ იცის, თუ რას გადაწყვეტს მიკა. ჩვენ ხანგრძლივი საუბარი გვქონდა და მე მას მეგობრული რჩევა მივეცი. ამის შემდეგ მიკა ფინეთში დაბრუნდა, რათა მეუღლესთან ერთად ყველაფერი აწონ-დაწონოს და გადაწყვეტილებაც მერე მიიღოს. სიმართლე გითხრათ, ჯერაც არ ვიცი, დაბრუნდება თუ არა. მგონი, ეს ჯერ თავადაც არ იცის."

რა თქმა უნდა, საინტერესოა ექვს სეზონში ჰაკინენის თანამაკლარენელ დევიდ კულჰარდის აზრიც: „მიკასთან საუბრისას ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მოხდა რაღაც განსაკუთრებული, რამაც მას თვალსაზრისი შეაცვლევინა. იგი დაბრუნების წინააღმდეგი არაა, მაგრამ... თუმცა მე ველარაფერი გამაკვირვებს. სიმართლე გითხრათ, გავვოცდი მაშინ, როცა მან კარიერის დასრულება გადაწყვიტა, მოტივაცია დავკარგეო. თუ მიკა დაბრუნდება, ძალიანაც გამეხარდება და ვილოცებ, რომ ყველაფერი უპრობლემოდ ჰქონდეს."

ცნობისთვის, ჰაკინენი 1991 წლიდანასპარეზობდა ფორმულაში, ორჯერ (1998, 99) მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, 2001 წელს კი რბოლები მიატოვა, ჯობს ცოლ-შვილს მივხედოო.

გვეეჭვება, ამ სამიოდ წელიწადში მიკას საბრძოლო მოტივაცია მოსძალებოდეს. არც ის გვგონია, მის ოჯახს პურის ფული შემოჰკლებოდეს. ერთი სიტყვით, დაველოდოთ...

ახლა მეორე ამბავზე:

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტ მაქს მოსლის მესამე საუფროსო ვადა წლის ბოლოს ეწურება. კი ამბობენ, პროფესიით ადვოკატი ბოსი სავარძელს ვერ შეელევაო, მაგრამ 64 წლის მოსლი მოახლოებული არჩევნების წინ მემკვიდრეზე ალაპარაკდა და ყველაზე რეალურ კანდიდატად „ფერარის" 58 წლის დირექტორი ჟან ტოდტი დაასახელა.

მაქსის თქმით, პიროვნებას, რომელმაც ავტოსპორტს მსოფლიო მასშტაბით უნდა უხელმძღვანელოს, მხოლოდ გამოცდილება და ცოდნა კი არ უნდა გააჩნდეს, არამედ პოლიტიკური ნიჭიერებაც და კავშირებიც, რაც ტოდტს საკმარისზე მეტიც აქვს. პრეზიდენტი იმასაც აღნიშნავს, რომ ჟანს ფორმულა 1-ის გარდა უმუშავია და გამარჯვებები მოუპოვებია რბოლის სხვა სახეობებშიც. კერძოდ, პატარა დიდი ფრანგი ათი წლის წინ „სამეფო რბოლებში" მისვლამდე მეთაურობდა რალის საჩემპიონო გუნდ „ლიანჩას" და სპორტპროტოტიპების საჯინიბოსაც.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სიტყვა სხვებსაც ხომ ეთქმით. ჰოდა, გუნდების მეპატრონეებმა, დღევანდელი ბოსი გვირჩევნიაო.

დევიდ რიჩარდსი (BAR): „ვერ წარმომიდგენია მაქს მოსლის ადგილზე სხვა ვინმე. მისი წასვლის შემდეგ ჩვენ გამოუვალ ვაკუუმში აღმოვჩნდებით. შეიძლება, მოსლი ყველა ჩვენგანს ხელს არ აძლევდეს, მაგრამ ვიცით, ვისთან გვაქვს საქმე და მზად ვართ, დაწყებული ბოლომდე გავაგრძელოთ."

პოლ სტოდარტი („მინარდი"): „მაქსი ყოველთვის იყო ფორმულა 1-ის უმთავრესი პერსონა, ჩვენი გამაერთიანებელი ცენტრი, რომელიც მუდამ პოულობს გამოსავალს რთული სიტუაციიდან. მისი წასვლით კი შეიძლება სერიოზული პრობლემები შეგვექმნას."

საინტერესოა, რომ შეთავაზება თავად ტოდტმაც უარყო, მით უფრო, „ფერარიში" ბოლოდროინდელი დაწინაურების შემდეგ. ამიერიდან იგი მთელი „სკუდერიის" მმართველი დირექტორია და ამ დანიშვნამ პრაქტიკულად წერტილი დაუსვა ჟანის „გამოსლებას", ფერარიში მშვენივრად ვგრძნობ თავს, ბლომადაც მიხდიან და თანაც ვმუშაობ იმ ხალხთან, ვინც მიყვარსო.

რაღა დარჩა, ოქტომბერი არც ისე შორსაა.

**გია ახალაძე**

---

მძლეოსნობა

# დოპინგომანია მაიკლ ჯონსონსაც შეეხო

*ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მაიკლ ჯონსონმა შესაძლოა, სიდნეის ოლიმპიადაზე მოპოვებული ოქროს მედალი დაკარგოს. ყველაფერი კი აშშ-ს გუნდის წევრ ჯერომ იანგის ბრალია, რომელიც დოპინგის მიღებაში ამხილეს*

საქმე ისაა, რომ აშშ-ს გუნდმა სიდნეის ოლიმპიადაზე 4X400 მეტრზე გარბენი მოიგო. პირველ ორ ეტაპზე გუნდში ჯერომ იანგი ასპარეზობდა, ფინალურ გარბენში კი — ჯონსონი. ამიტომაც იანგის გულისთვის ოქროს მედალი შეიძლება მთელ გუნდს ანუ მაიკლ ჯონსონს, ტყუპ ძმებ — ელვინ და კელვინ ჰარისონებს, ანტონიო პეტიგრიუს, ანჯელო ტეილორს და, რაღა თქმა უნდა, თავად დამნაშავე იანგს ჩამოართვან.

IAAF-ის წარმომადგენელმა ნიკ დევისმა განაცხადა, რომ კვირას საგანგებო კომისია უნდა შეიკრიბოს, რომელიც შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

ჯერომ იანგი რომ მკაცრად დაისჯება, ფაქტია, მაგრამ რა ბედი ეწევა მის თანაგუნდელებს, ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია.

ამასობაში კი კიდევ ერთი სპორტსმენი, ამჟამად 100 მეტრ დისტანციაზე სირბილში მსოფლიოს ჩემპიონი ქალი ტორი ედვარდსი გამოიჭირეს ამერიკელებმა დოპინგის მოხმარებაში.

ედვარდსმა მეორე ადგილი დაიკავა საკვალიფიკაციო ეტაპზე 200 მეტრ დისტანციაზე სირბილში და ოლიმპიურ გუნდში ადგილი მოიპოვა, თუმცა თუ დანაშაული დაუმტკიცდა, მკაცრად დაისჯება და შესაბამისად ათენში გამგზავრებასაც ვერ ეღირსება.

სასჯელი, რომელიც ნიკეთამიდის, ანუ იმ ნივთიერების მოხმარებისათვის არის განკუთვნილი, რომელიც ტორის აღმოუჩინეს, სხვადასხვაგვარია.

უკეთეს შემთხვევაში მას საზოგადოდ გააფრთხილებენ და ტიტულს ჩამოართმევენ, უარესში კი ამ ყველაფერს ორწლიანი დისკვალიფიკაციაც დაემატება. მთავარია, გაირკვეს, როგორ აღმოჩნდა ეს ნივთიერება სპორტსმენის ორგანიზმში. ერთი ვერსიით, ედვარდსი ნიკეთამიდის შემცველელ გლუკოზას იღებდა და ამის შესახებაც თავად არაფერი იცოდა.

**ლადო ფულუკიძე**

---

ველორბოლა



XI ეტაპი დევიდ მონკუტიემ მოიგო

# ტურ დე ფრანსი

| XI ეტაპი. 15 ივლისი. ლიმოჟი — სენტ ფლური. 237 კმ | |
|---|---|
| 1 დევიდ მონკუტიე (საფრანგეთი, კოფიდისი) | 3სთ 54წთ 58წმ |
| 2 ხუან ანტონიო ფლეჩა (ესპანეთი, ფასა ბორტოლო) | +2წთ 15წმ |
| 3 ეგოი მარტინესი (ესპანეთი, ეუსკატელი) | +2წთ 17წმ |
| 4 ტურ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) | +5წთ 58წმ |
| 5 ერიკ ცაბელი (გერმანია, ტი-მობაილი) | |
| 9 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) | ორივე იგივე დრო |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1 ტომას ვოკლერი (საფრანგეთი, ბრიშე ლა ბულანჟე) | 46სთ 43წთ 10წმ |
| 2 სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, კოფიდისი) | +3წთ |
| 3 სანდი საზარი (საფრანგეთი, FDJeux.com) | +4წთ 13წმ |
| 4 რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, ქუიქ სტეპი) | +6წთ 52წმ |
| 5 იაკობ პიილი (დანია, CSC) | +7წთ 43წმ |
| 6 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) | +9წთ 35წმ |

---

ველორბოლა

# უეფას თასი 2004-2005

UEFA CUP I საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები UEFA CUP

| | | |
|---|---|---|
| შირაქი (სომხეთი) | 1:2 | ტირასპოლი (მოლდოვა) |
| ბანსკა ბისტრიცა (სლოვაკეთი) | 3:0 | ყარაბახი (აზერბაიჯანი) |
| ეკრანასი (ლიტვა) | 1:0 | დუდელანჟი (ლუქსემბურგი) |
| ჰაკა (ფინეთი) | 2:1 | ეტცელა (ლუქსემბურგი) |
| ლევადია (ესტონეთი) | 0:0 | ბოჰემიანსი (ირლანდია) |
| ნისტრუ (მოლდოვა) | 1:1 | შახტიორი (ბელარუსი) |
| პარტიზანი (ალბანეთი) | 4:2 | ბირკირკარა (მალტა) |
| ილიჩევეცი (უკრაინა) | 2:0 | ბანანცი (სომხეთი) |
| ოცელული (რუმინეთი) | 4:0 | დინამო (ალბანეთი) |
| იოსტერსი (შვედეთი) | 2:0 | ლანსანტფრეიდი (უელსი) |
| ომონია (კვიპროსი) | 4:0 | სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია) |
| სანტა კოლომა (ანდორა) | 0:1 | მოდრიცა (ბოსნია) |
| ვადუცი (ლიხტენშტაინი) | 1:0 | ლონგფორდი (ირლანდია) |
| სილეკსი (მაკედონია) | 0:1 | მარიბორი (სლოვენია) |
| ბ-68 ტოფტირი (ფარერები) | 0:3 | ვენტსპილსი (ლატვია) |
| პორტადაუნი (ჩრდ. ირლანდია) | 2:2 | ჟალგირისი (ლიტვა) |
| ბ-36 ტორსჰავნი (ფარერები) | 1:3 | მეტალურგსი (ლატვია) |
| მარსაშლოკი (მალტა) | 0:1 | პრიმორიე (სლოვენია) |
| პორდვესტი (უელსი) | 0:1 | ჰაფნარფიორდური (ისლანდია) |
| პენაროსა (სან მარინო) | 1:5 | ჟელეზნიჩარი (ბოსნია) |
| გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) | 2:2 | ალიანსი (ფინეთი) |
| აკრანესი (ისლანდია) | 4:2 | ტვმკ (ესტონეთი) |

# ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

UNDER-19 Championship

**A ჯგუფი. II ტური**

იტალია 0:1 უკრაინა

შვეიცარია 2:0 ბელგია

**B ჯგუფი. II ტური**

გერმანია 3:1 პოლონეთი

ესპანეთი 3:2 თურქეთი

## შვედეთი

**ალსვენსკა. XII ტური**

აიკ 3:1 გიოტებორგი

## ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. XIV ტური**

მიუპა 1:1 კტპ

ტპ-47 3:1 ლაჰტი

იარო 0:3 ტამპერე

## ირლანდია

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**

უოტერფორდი 3:2 დუბლინი

## უკრაინა

**პრემიერლიგა**
**პირველი ტური**

დინამო 0:2 შახტარი

დნიპრო 4:2 მეტალისტი

მეტალურგი (დ) 2:1 ობოლონი

ვოლინი 1:0 ტავრია

ვორსკლა 3:0 არსენალი

ბორისფენი 1:1 მეტალურგი (ზ)

ჩერნომორეცი 3:1 კრივბასი

## ამხანაგური მატჩი

კოპენჰაგენი 2:2 ტოტენჰემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეთორმეტე დაჯილდოება



REUTERS

ჰოლივუდში დიდი ხმაურით და ნაცადი ზარ-ზეიმით ჩატარდა „ისპის" დაჯილდოების საღამო. პრიზები გადაეცემათ სპორტისა და გართობის წლის გამორჩეულებს. წლეულს, 12-ე ესპიზე ლიბერაში მუხლჩაუხრელი ჰუმანიტარული საქმიანობისთვის ისპის" არტურ ეშის პრიზი ძველი ფეხბურთელს, ჟორჟ ვეას გადაეცა. სტუმრები ბევრნი იყვნენ, მათ შორის ჩოგბურთელი ენდი როდიკი და კლივლენდელი კალათბურთელი, იმპოზანტურად ჩაცმული ლებრონ ჯეიმსი, რომელმაც „წლის გარღვევის" პრიზი მიიღო. შოუ მიჰყავდა ჯეიმი ფოქსს, რომელმაც ბევრი იღლაბუცა და ბოლოს მიახტა კიდეც სერენა უილიამსს.



REUTERS



REUTERS





REUTERS

# დოქტორი

ინგლისში, ჰალის უნივერსიტეტში ერთ კაცს საპატიო დოქტორობა მიანიჭეს, თავადაც ხედავთ ვის, პიერლუიჯი კოლინა თავის საქმეში დოქტორიცაა და აკადემიკოსიც.

# საათენო სინქრონი

ეს ბოლო საწყალოსნო ცეკვაა ოლიმპიადის წინ. ლონგ ბიჩში ამერიკის სინქრონულად მოცურავეთა ნაკრები შედგა და როგორც ამბობენ ასეთი ძლიერი გუნდი ამერიკას არასდროს ჰყოლია. წინ ათენია.




REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge